საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

# კრებული

# СБОРНИК

## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

*Министерства просвещения Грузинской ССР*

F-171
1959

3

მარტი

თბილისი—1959

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

## № 69

1959 წლის 24 იანვარი

**საწარმოო ჩვევების შეძენისა და პროფესიის დაუფლებისათვის ქ. თბილისის ზოგიერთი სკოლის უფროსი კლასების მოსწავლეების წარმოებებზე მიმაგრების შესახებ**

F 2233

ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და საშუალო სკოლის უფროსი კლასების მოსწავლეთა მიერ საწარმოო ჩვევების დაუფლების მიზნით ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილების შესრულების უზრუნველსაყოფად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 1958—1959 სასწავლო წლის მეორე ნახევრიდან ცდის სახით მიმაგრებული იქნენ კიროვის სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაზე ზეინკლობისა და ხარატობის სპეციალობის დასაუფლებლად ქ. თბილისის მე-10, მე-12 და მე-14 საშუალო სკოლების IX კლასების 72 მოსწავლე ვაჟი; სამკერვალო ფაბრიკა № 7-ზე ტანსაცმლის გამოჭრისა და საკერავ მანქანაზე ტანსაცმლის შეკერვის შესასწავლად—ამავე სკოლების IX კლასების 83 მოსწავლე გოგონა; ქარხანა საფოსტო ყუთი № 149-ზე ზეინკლობის სპეციალობის დასაუფლებლად — ქ. თბილისის მე-18, მე-19, 21-ე, 22-ე და 24-ე საშუალო სკოლების 177 მოსწავლე (როგორც ვაჟები, ისე გოგონები).

2. აღნიშნული სკოლების დირექტორებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ წარმოებებზე მიმაგრებულ მოსწავლეთა შორის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას.

3. წარმოებებზე მიმაგრებულ კლასებში სწავლების ხანგრძლივ-

ობა გადიდდეს ერთი წლით, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საშუალო სკოლის პროგრამით გათვალისწინებული მასალის სრული-თასოვანი გავლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. დაწესდეს, რომ სწავლის ვადის დამთავრების შემდეგ მოსწავლეები სათანადო თანრიგის მისაღებად აბარებენ გამოცდას საკვალიფიკაციო კომისიას.

5. წარმოებაში სწავლის ვადა მოსწავლეებს ჩაეთვალოთ საწარმოო სტაჟში.

6. განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოებისა და მეთოდიკის განყოფილებამ მოქმედი სასწავლო გეგმით 2 სასწავლო წლისათვის გათვალისწინებული საათები და IX — X კლასების პროგრამული მასალა გადაანაწილოს სამ სასწავლო წელზე.

7. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა სისტემატურად შეისწავლოს წარმოებებზე მიმაგრებული სკოლების მუშაობა და გამოცდილების განზოგადების მიზნით დასკვნები წარმოადგინოს 1959 წლის 1 ივლისისათვის.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი

**გ. ნ. ჯიბლაძე.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა
და განათლების, უმაღლესი სკოლისა და
სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის
საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა**

1959 წლის 30 იანვარი

განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის 1958 წლის 14 მარტის დადგენილებით დამტკიცებული დებულება „პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობებისა და საერთო საცხოვრებლების მოვლა-პატრონობაზე რესპუბლიკური დათვალიერების—კონკურსის ჩატარების შესახებ“ გაუქმდეს და კონკურსი ჩატარდეს არა მარტო სტუდენტთა საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობებისა და საერთო საცხოვრებლების მოვლა-პატრონობაზე, არამედ აგრეთვე შრომისა და დასვენების საუკეთესო ორგანიზაციაზე, რისთვისაც დამტკიცდეს რესპუბლიკური კონკურსის ახალი დებულება (თან ერთვის).

დაევალოს პედაგოგიური ინსტიტუტების დირექციებს, ადგილკომებსა და სტუდენტთა პროფკომებს რესპუბლიკური კონკურსის დებულება დაიყვანონ პედაგოგიური ინსტიტუტების ყოველ მუშაკამდე და სტუდენტამდე, იბრძოლონ დებულების მაჩვენებლების მაღალი მონაცემების შესრულებისათვის.

რესპუბლიკური კონკურსის დებულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაში საუკეთესო შედეგების მიღწევისათვის დაწესდეს შემდეგი პრემიები განათლების სამინისტროს სახსრებიდან:

ა) ერთი პირველი პრემია — განათლების სამინისტროს და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და 12.000 მანეთი (ინვენტარის შესაძენად);

ბ) ერთი მეორე პრემია — განათლების სამინისტროს და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის სიგელი 8.000 მანეთი (ინვენტარის შესაძენად).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. სსრ განათლების
მინისტრი

**გ. ჯიბლაძე.**

განათლების, უმაღლ. სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა
პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური
კომიტეტის თავმჯდომარე

**ლ. მაღლაფერიძე.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“
საქართველოს სსრ
განათლების მინისტრი

**გ. ჯიბლაძე**

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“
განათლების, უმაღლესი სკოლისა
და სამეცნიერო დაწესებულებების
მუშაკთა პროფკავშირის
რესპუბლიკური კომიტეტის
თავმჯდომარე

**ლ. მაღლაფერიძე**

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიური ინსტიტუტების რესპუბლიკური კონკურსის შესახებ სტუდენტთა ყოფაცხოვრების, შრომისა და დასვენების საუკეთესო ორგანიზაციისათვის**

## I. კონკურსის მიზნები და ამოცანები

1. სტუდენტთა საუკეთესო საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა.

2. სტუდენტთა გონებრივი შრომისა და აქტიური დასვენების ჯანსაღი რეჟიმის ორგანიზაცია.

3. საუკეთესო პირობების შექმნა უმაღლეს სასწავლებლებში სამკურნალო და პროფილაქტიკური მუშაობისათვის.

## II. კონკურსის ორგანიზაცია

კონკურსს ატარებენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი 1959 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

კონკურსში მონაწილეობას იღებენ პედაგოგიური ინსტიტუტების და საერთო საცხოვრებლების კოლექტივები.

კონკურსთან დაკავშირებული მთელი მუშაობის უშუალო ორგანიზაციასა და ხელმძღვანელობას თვითეულ პედაგოგიურ ინსტიტუტში ახორციელებს სტუდენტთა საზოგადოებრივი ორგანიზა-

ციებიდან და ინსტიტუტის ადმინისტრაციის შემადგენლობიდან გამოყოფილი კომისია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონკურსის პირობების პრაქტიკული შესრულება ევალებათ სტუდენტთა მთელ კოლექტივს და პედინსტიტუტის და საერთო საცხოვრებლის მუშაკებს.

პედაგოგიური ინსტიტუტის პროფკავშირული ორგანიზაცია და ადმინისტრაცია ვალდებულნი არიან დაიყვანონ კონკურსის პირობები სტუდენტებსა და მუშაკებამდე, დარაზმონ კოლექტივები ამ პირობების წარმატებით შესრულებისათვის. სისტემატურად შეამოწმონ და ინსტიტუტის საბჭოსა და პროფკომის სხდომებზე განიხილონ კონკურსის პირობების შესრულების მიმდინარეობა, ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ კოლექტივებს ამ საქმეში.

## III. კონკურსის პირობები

კონკურსში გამარჯვებულად ჩაითვლებიან პედაგოგიური ინსტიტუტის ის კოლექტივები, რომელნიც წარმატებით შეასრულებენ შემდეგ პირობებს:

1. საუკეთესო საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნის საქმეში:

ა) სტუდენტთა საცხოვრებელი ოთახის სანიმუშოდ შენახვა, მოწყობილობისა, რბილი და მაგარი ინვენტარისადმი მზრუნველობით მოპყრობა, მათი წესივრულ მდგომარეობაში შენახვა, სათავსოების დროულად დასუფთავება და განიავება; ლოგინის თეთრეულის რეგულარულად გამოცვლა; შინაგანაწესის ზუსტი შესრულება; საერთო საცხოვრებლებში სანიტარული წესების დაცვა;

ბ) საზოგადოებრივ ადგილებში, წითელ კუთხეებში სამუშაო ოთახებში, ბიბლიოთეკის ფილიალებში მუშაობისათვის საუკეთესო პირობების შექმნა;

გ) დერეფნის, სამზარეულოს, თეთრეულის სამრეცხაო — საშრობი და საუთოო ოთახების, საშხაპოების და სხვ. სუფთად შენახვა;

დ) სტუდენტთა საცხოვრებელი და საზოგადოებრივი ადგილების გამოყენება პირდაპირი დანიშნულების მიხედვით;

ე) სასადილოების გაფართოება და მოწყობა, მომსახურების კარგი და ზუსტი ორგანიზაცია, დიეტური კვების მოწყობა;

ვ) სტუდენტთა დამხმარე-საყოფაცხოვრებო საწარმოების: სამრეცხაოს, აბანოს, საპარიკმახეროს, სამკერვალო და ფეხსაცმელების სახელოსნოების კარგი ორგანიზაცია;

ზ) სასადილოების, ბუფეტებისა და დამხმარე-საყოფაცხოვრებო საწარმოების მუშებისადმი სტუდენტთა სისტემატური საზოგადოებრივი კონტროლის მოწყობა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ) ინსტიტუტში საუკეთესო კორპუსზე, სართულზე, საცხოვრებელ ოთახზე და სხვ. დათვალიერება—კონკურსის რეგულარული ჩატარება სტუდენტთა აქტივის ძალებით;

ი) სტუდენტთა შორის ფართო პროპაგანდის სისტემატური ჩატარება ჯანსაღ ყოფაცხოვრებაზე, ამ მიზნით კედლის გაზეთების, ვიტრინების, პლაკატების, კინოს და სხვათა ყოველმხრივი გამოყენება.

2. მასობრივი გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ორგანიზაციის საქმეში:

ა) დილის ჰიგიენური ტანვარჯიშის ჩატარება საერთო საცხოვრებლებში;

ბ) გონებრივი შრომის რეჟიმის რაციონალური ორგანიზაცია აქტიურ დასვენებასთან შეხამებით (ფიზკულტურული პაუზების სეირნობის ჩატარება, სპორტული მეცადინეობა სუფთა ჰაერზე და ა. შ.).

გ) დასვენების დღეებში კოლექტიური ტურისტული ლაშქრობის, სპორტულ სექციებში მეცადინეობის მოწყობა;

დ) მარტივი სპორტული ნაგებობის (მოედანი და სხვ.) მშენებლობა; ინსტიტუტის საერთო საცხოვრებლების ტერიტორიის კეთილმოწყობა და გამწვანება სტუდენტთა ძალებით;

ე) კულტურულ-მასობრივი ღონისძიებების ორგანიზაცია საერთო საცხოვრებლის წითელ კუთხეში;

ვ) საზაფხულო და საზამთრო არდადაგების პერიოდში სტუდენტთა გამაჯანსაღებელ-სპორტული ბანაკების საუკეთესოდ მოწყობა იმ პირობით, რომ სტუდენტები თვითმოქმედების წესით მონაწილეობას მიიღებენ ნაგებობათა მშენებლობასა და ბანაკის ტერიტორიის კეთილმოწყობაში, კვების დროს უზრუნველყოფენ თვითმომსახურებას, შეასრულებენ ბანაკის სხვა სამეურნეო სამუშაოს, ბანაკებში პოლიტიკურ-აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობის საუკეთესოდ ჩატარება.

3. ინსტიტუტებში სამკურნალო და პროფილაქტიკური მუშაობისათვის საუკეთესო პირობების შექმნის საქმეში:

ა) ჯანდაცვის პუნქტის, პროფილაქტორიის, სამედიცინო იზოლიატორის საუკეთესო ორგანიზაცია, მოწყობა და შენახვა საერთო საცხოვრებელში;

ბ) ჯანდაცვის პუნქტის უზრუნველყოფა სამკურნალო და პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარებისათვის საჭირო ... ბითა და მოწყობილობით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) სტუდენტთა სამედიცინო გამოკვლევის მასალების განზოგადება და მათი ყოველმხრივი გამოყენება სასწავლო და საზოგადოებრივ მუშაობაში, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საქმეში, აგრეთვე სტუდენტთა შორის პროფილაქტიკურ მუშაობაში.

## IV. კონკურსის შედეგების შეჯამება

1. პედაგოგიური ინსტიტუტების საერთო საცხოვრებლების მიერ რესპუბლიკური კონკურსის პირობების შესრულების შესამოწმებლად პროფკავშირის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები ქმნიან კომისიას პედაგოგიური ინსტიტუტის, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ადმინისტრაციის, სანიტარული ინსპექციისა და მედიცინის მუშაკთა წარმომადგენლებისაგან.

2. აპრილ—მაისში და ოქტომბერ—ნოემბერში პროფკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები შემოწმების შედეგების მიხედვით გამოავლენენ საუკეთესო უმაღლეს სასწავლებლებსა და საერთო საცხოვრებლებს და არა უგვიანეს 1 დეკემბრისა წარუდგენენ პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს შემოწმების შედეგების მასალებს, საერთო საცხოვრებლების შენახვის სამეურნეო მაჩვენებლებისა და დათვალიერება — კონკურსის შედეგების შეჯამების შესახებ საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტების პრეზიდიუმების სათანადო გადაწყვეტილების თანდართვით.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი 1 იანვრამდე განიხილავენ პროფკავშირის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების მიერ წარმოდგენილ მასალებს, საბოლოოდ აჯამებენ შედეგებს.

ამ მიზნით იქმნება რესპუბლიკური კომისია მინისტრის მოადგილის, პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივნის, პედაგოგიური ინსტიტუტების სამმართველოს უფროსის, სამხედრო და ფიზიკური მომზადების განყოფილების წარმომადგენლისა და სამინისტროს საფინანსო-საგეგმო განყოფილების უფროსის შემადგენლობით. კონკურსის შედეგები დამტკიცდება განათლების სამინისტროს კოლეგიისა და პროკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის ერთობლივ სხდომაზე.

## V. რესპუბლიკური კონკურსის გამარჯვებულთა წახალისება

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკური კონკურსის პირობების შესრულებაში საუკეთესო შედეგებისათვის პედაგოგიური ინსტიტუტის წასახალისებლად დაწესებულია (განათლების სამინისტროს სახსრებიდან)

### ერთი პირველი პრემია

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და 12.000 მანეთი (ინსტიტუტის საერთო საცხოვრებლის ინვენტარისა და წითელი კუთხისათვის მოწყობილობის, აგრეთვე სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკისათვის კულტინვენტარის შესაძენად).

### ერთი მეორე პრემია

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის სიგელი და 8000 მანეთი (ინსტიტუტის საერთო საცხოვრებლის ინვენტარისა და წითელი კუთხისათვის მოწყობილობის, აგრეთვე სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკისათვის კულტინვენტარის შესაძენად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

## № 156/ J

1959 წლის 3 თებერვალი

**გაგრის რაიონის ხეივნის 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორის ნ. ი. გოგოლის მიერ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში შეტანილი საჩივრის შემოწმების შედეგების შესახებ**

გავეცანი რა გაგრის რაიონის სოფელ ხეივნის 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორის ნ. ი. გოგოლის თანამდებობიდან განთავისუფლების გამო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში მის მიერ შეტანილი საჩივრის ადგილზე შემოწმების მასალებს, აღვნიშნავ, რომ ამხ. ნ. გოგოლის, რომელიც 15 წელია რაც ამ სკოლის დირექტორია, სამუშაოდან განთავისუფლებას აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ საფუძვლად დაუდო ხეივნის 1-ლი საშუალო სკოლის მასწავლებლის მ. ს. სვანიძის საჩივარში წამოყენებული ისეთი ბრალდებები, როგორიცაა: ნ. გოგოლის მიერ თანხის მითვისება 1957 წელს ჩატარებულ სკოლის შენობის რემონტთან დაკავშირებით, სასწავლო ნაწილის ყოფილი გამგის, შ. ს. პატარაიასათვის სკოლის ეზოში სამოსახლო ნაკვეთის მიცემა მოსწავლეთა ცოდნის შეფასების ნიშნების გადასწორება (აწევა), აგრეთვე სკოლის სატვირთო მანქანის პირად სარგებლობაში გამოყენება და სკოლის კუთვნილი პიანინოს მითვისების ცდა.

ადგილზე შემოწმებით გამოირკვა, რომ ყველა ეს ბრალდება არ შეეფერება სინამდვილეს.

1957 წელს სკოლის შენობის რემონტი ჩაატარა გაგრის რაიონის წალკოტის კოლმეურნეობამ ხელშეკრულების საფუძველზე. ნ. ი. გოგოლის ავადმყოფობის გამო სკოლის წარმომადგენლად

გამოყოფილი იყო სასწავლო ნაწილის გამგე შ. პატარაია, რომელიც სარემონტო თანხების და მასალის მითვისების მოტივით სამართლებულ იქნა, მაგრამ ბრალდება არ დადასტურდა, ზოგიერთი დარღვევისათვის კი მიესაჯა 6 თვის იძულებითი მუშაობა.

მიწის ნაკვეთი სკოლას ჩამოეჭრა (როგორც ნორმაზე მეტი) და გადაეცა პატარაიას კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების დადგენილების საფუძველზე.

მასწავლებელი ვ. ფილია ბრალს დებდა ნ. ი. გოგოლს მე-6 და მე-8 კლასების რამდენიმე მოსწავლისათვის ნიშნის აწევაში საშემოდგომო გამოცდების დროს, საგნის მასწავლებლის — ვ. ფილიას დაუკითხავად. სკოლის საქმეებში ინახება საგამოცდო ფურცლები, რომლებშიც ამ მოსწავლეებს თვით ფილიას მიერ აქვთ დაწერილი ნიშანი „3“.

სატვირთო მანქანა რეგისტრირებულია ავტოინსპექციაში, ბენზინით მარაგდება აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს მიერ და ემსახურება სკოლას.

სკოლას უნდა შეეძინა პიანინო. ნ. ი. გოგოლმა ამის შესახებ მიმართა აფხაზეთის კოოპკავშირსა და აგრეთვე როსტოვის მუსიკალური ინსტრუმენტების ფაბრიკას. პიანინო სკოლას გადაეგზავნა კოოპკავშირიდან. ამავე დროს მიღებული იქნა ანგარიში როსტოვის ფაბრიკიდანაც. სკოლას მიეცა შერჩევის საშუალება.

ამასთან აღვნიშნავ, რომ ნ. ი. გოგოლმა უყურადღებობა გამოიჩინა 1958 წელს გამოსაშვები კლასების მოსწავლეთა წერითი ნამუშევრების გასწორების საქმეში, რის გამოც დაუმსახურებელი შეფასება მიიღო რამდენიმე კურსდამამთავრებელმა.

ნ. ი. გოგოლი 22 წლის განმავლობაში (აქედან 15 წელი დირექტორად) მუშაობს ხეივნის 1-ლ საშუალო სკოლაში. ამ სკოლის მუშაობა თითქმის ყოველწლიურად მოწმდებოდა გაგრის განათლების განყოფილების, აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და სხვა ორგანოების მიერ, მაგრამ შემოწმების მასალებში არსად არ არის მითითებული ხსენებული სკოლის მუშაობის სერიოზულ ნაკლოვანებებზე.

გეოგრაფიის მასწავლებელმა მ. ს. სვანიძემ საჩივარი აღძრა კლასების შემცირების გამო მისი (როგორც სხვებთან შედარებით სუსტი მასწავლებლის) განთავისუფლების შემდეგ და, გამომდინარეობდა რა პირადი ინტერესებიდან, წამოაყენა ბრალდება ერთი წლის წინათ (1957 წ.) ჩატარებულ სკოლის რემონტთან დაკავშირებით მომხდარ „ბოროტმოქმედებათა“ შესახებ.

აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტრომ ანგარიში არ გა-
უწია გაგრის რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებს და მათთან შეთა-
თანხმებლად თანამდებობიდან გაათავისუფლა ხეივნის 1-ლი სა-
შუალო სკოლის დირექტორი, საქართველოს კპ გაგრის რაიონული
კომიტეტის წევრი ნ. ი. გოგოლი და მის ადგილზე გადაიყვანა
რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების მიერ, სათანადო ცენზის
უქონლობის გამო, შვიდწლიანი სკოლის დირექტორის თანამდებო-
ბაზე ადრე აცილებამიცემული ნ. დ. ბესელია, რომელსაც აქვს მხო-
ლოდ დაწყებითი სკოლის მასწავლებლის წოდება.

ნ. დ. ბესელია და ი. ს. სვანიძე იჩენენ თვითნებობას, გვერდს
უვლიან რაიონის ხელმძღვანელ ორგანოებს, თვით აფხაზეთის ასსრ
განათლების სამინისტროსაც და უშუალოდ უკავშირდებიან სა-
ქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და სხვა ზემდგომ ორ-
განოებს. მათ ასეთ საქციელს კი, რატომღაც, ყოველგვარი რეაგი-
რების გარეშე ტოვებს აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტრო.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაუქმდეს აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს კო-
ლეგიის 1958 წლის 13 ოქტომბრის დადგენილების (ოქმი № 57)
მე-2 მუხლი ხეივნის 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორის ნ. ი.
გოგოლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ბრალდება-
თა დაუმტკიცებლობის გამო და ნ. ი. გოგოლი აღდგენილი იქნას
თავის თანამდებობაზე.

ნ. ი. გოგოლის ხეივნის 1-ლი საშუალო სკოლის დირექტო-
რის თანამდებობაზე აღდგენის გამო ამ სკოლის დირექტორად და-
ნიშნული (აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს 1958 წლის
10 ოქტომბრის ბრძანება № 872) ნ. დ. ბესელია გათავისუფლდეს
1959 წლის 2 თებერვლიდან.

2. დამამთავრებელი კლასების მოსწავლეთა წერითი ნამუშევ-
რების გასწორებაში ლიბერალიზმის დაშვებისათვის ნინო იოსების
ასულ გოგოლს გამოეცხადოს საყვედური, დაევალოს მასვე გააძ-
ლიეროს კონტროლი მასწავლებელთა მუშაობაზე, მიიღოს ზომები
სკოლისათვის შეუფერებელი მასწავლებლების დროულად გამოვლი-
ნებისა და განთავისუფლებისათვის. მიაღწიოს სკოლის ეზოს კე-
თილმოწყობასა და საცდელი ნაკვეთის პოლიტექნიკური სწავლე-
ბის ბაზად გადაქცევას.

3. დაევალოს აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს ყო-

ველმძღვანელ შეისწავლოს ხეივნის 1-ლი საშუალო სკოლის მუშაობა და დასახოს პრაქტიკული ღონისძიებანი ნაკლოვანებათა უახლოეს დროში გამოსასწორებლად, შეამოწმოს მასწავლებლების ვ. ფალილასა და მ. სვანიძის მუშაობა და კატეგორიულად გააფრთხილოს ისინი, რომ თუ უახლოეს ხანში არ გარდაქმნიან თავიანთ მუშაობას და კვლავაც განაგრძობენ უპრინციპო კინკლაობას, გათავისუფლებული იქნებიან პედაგოგიური სამუშაოდან.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1959 წლის 30 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე

**მ. ბურჭულაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

## № 110

1959 წლის 9 თებერვალი

**მეაბრეშუმეობის განვითარების საქმეში სამტრედიის პირველი საშუალო სკოლის ინიციატივის შესახებ**

ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცების ამოცანიდან გამომდინარე საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში მოსწავლე ახალგაზრდობის აქტიურად ჩაბმის უზრუნველსაყოფად სამტრედიის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა კოლექტივმა აიღო კონკრეტული ვალდებულებანი მეაბრეშუმეობის შემდგომი განვითარების საქმეში. ვიწონებ რა სამტრედიის პირველი საშუალო სკოლის ამ თაოსნობას,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

1. განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების საბჭოს სხდომებზე განიხილონ სამტრედიის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებლებისა და მოსწავლეთა მიმართვა მეაბრეშუმეობის შემდგომი განვითარების შესახებ და უზრუნველყონ სკოლების მიერ კონკრეტულ ვალდებულებათა აღება.

2. მეაბრეშუმეობის განვითარების საკითხები მტკიცედ დაუკავშირონ მოსწავლეთა შრომით აღზრდას, მათში კომუნისტური შეგნებულობის ამაღლებასა და საბჭოთა პატრიოტიზმის დანერგვას.

3. აგვისტოს თათბირებზე საბუნებისმეტყველო ციკლის მასწავლებელთა სექციურ სხდომებზე მოისმინონ მოწინავე მასწავლებლე-

ბის მოხსენებები ამ დარგში მათ მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

4. გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციამ უახლოეს ნომერში გამოაქვეყნოს სამტრედიის პირველი საშუალო სკოლის მიმართვა მეაბრეშუმეობის შემდგომი განვითარების საქმეში სკოლების მონაწილეობის შესახებ.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1959 წლის 6 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი

**გ. ჯიბლაძე**

F 2233

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. სახელმწიფო ... ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

## № 121

1959 წლის 10 თებერვალი

### პედაგოგიური ინსტიტუტებისა და სასწავლებლების სამმართველოსა და საგეგმო-საფინანსო სამმართველოში მშრომელთა საჩივრების და განცხადებების განხილვის მდგომარეობის შესახებ

განათლების სამინისტროში 1958 წლის 1 იანვრიდან 1 ნოემბრამდე შემოსულია 17.567 განცხადება-საჩივარი და დაწესებულება-ორგანიზაციათა მომართვა. საშუალოდ დღეში მიღებულია-70 კორესპონდენცია.

საგეგმო-საფინანსო სამმართველოს მიღებული აქვს 2.384 კორესპონდენცია, ხოლო პედაგოგიური ინსტიტუტებისა და სასწავლებლების სამმართველოს—1624. ორივე სამმართველოში დამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მშრომელთა წერილების, საჩივრებისა და განცხადებების აღრიცხვა. საჩივრებზე პასუხის გაცემისათვის კანონით დადგენილი ვადის უხეშ დარღვევას ადგილი არა აქვს.

მაგრამ მშრომელთა წერილების, საჩივრებისა და განცხადებების განხილვის საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს: ზოგჯერ არაგულისხმიერად და ზერელედ განიხილავენ საჩივრებს, რის შედეგადაც განმცხადებლებს ეგზავნებათ არასრული პასუხები. განცხადება-საჩივრების განათლების ადგილობრივ ორგანოებში გადაგზავნისას განმცხადებლებს ამის შესახებ არ აცნობებენ.

სამინისტროს კანცელარიაში და შემოწმებულ სამმართველოებში შემოღებული არ არის საჩივრებისა და განცხადებების კონტროლზე აყვანა, რაც იწვევს საჩივრების დროულად შემოწმებისა და საჭირო ზომების მიღების დაგვიანებას.

კონტროლის დაუწესებლობისა და მომთხოვნელობის შესუსტების გამო განათლების ადგილობრივი ორგანოები დროზე არ ასრულებენ დავალებას, რაც იწვევს მშრომელთა განმეორებით ჩივრებს და საკითხის გადაწყვეტის გაჭიანურებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამინისტროში საჩივრების დიდი რაოდენობით მიღება იმითაც უნდა აიხსნას, რომ განათლების ადგილობრივი ორგანოები ზოგჯერ აგვიანებენ საჩივრების განხილვას, ან იხილავენ ზერელედ, არ აკმაყოფილებენ მშრომელთა კანონიერ მოთხოვნებს, არ უკეთებენ ანალიზს საჩივრების გამომწვევ მიზებებს და არ იღებენ ზომებს ამ მიზეზების აღსაკვეთად. შრომის, ხელფასის, პენსიის, პედაგოგიური სტაჟის, კომუნალური მომსახურების, შვებულებისა და სხვა საკითხებზე ბევრი წერილი და განცხადება იმიტომ იწერება, რომ მასწავლებლებმა და განათლების დარგის სხვა მუშაკებმა სათანადოდ არ იციან კანონმდებლობა, რომლის პროპაგანდას ადგილებზე არასაკმარისად ეწევიან.

სამინისტროს კანცელარიას განცხადება-საჩივრების მიღების, რეგისტრაციისა და კუთვნილებისამებრ დროულად ჩაბარების საქმეში გააჩნია ნაკლოვანებები.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სამმართველო-განყოფილებათა უფროსებმა:

ა) მშრომელთა საჩივრები, წერილები და განცხადებები განიხილონ პირადად და უზრუნველყონ მათ ავტორებზე ამომწურავი პასუხების დროულად გაცემა;

ბ) არ დაუშვან განცხადება-საჩივრების ზერელედ განხილვა, ყველა საკითხზე გასცენ პასუხი. როცა მოქალაქეთა თხოვნა თუ მოთხოვნა დაუსაბუთებელია, პირდაპირ უპასუხონ, რომ მათი მოთხოვნები უსაფუძვლო და კანონის საწინააღმდეგოა;

გ) ზუსტად დაიცვან საჩივრებსა და განცხადებებზე პასუხის გაცემის კანონით დადგენილი ვადები, როცა საკითხი შესწავლას ან სხვა ორგანოსთან შეთანხმებას მოითხოვს, აცნობონ ამის შესახებ განმცხადებელს საჩივრის განხილვის საბოლოო შედეგების შეტყობინებამდე;

დ) არ დაუშვან სამინისტროს კანცელარიის რეგისტრაციის გარეშე მოქალაქეთა განცხადება-საჩივრებისა და დაწესებულება-ორგანიზაციების მომართვათა მიღება;

ე) შემოიღონ განსაკუთრებული საჩივრების, წერილების და განცხადებების კონტროლზე აყვანა და უზრუნველყონ მათ შესრულებაზე სათანადო ზედამხედველობის დაწესება;

ვ) არაკუთვნილებისამებრ მიღებული წერილები და მოწერილობანი დაუყოვნებლივ დაუბრუნონ სამინისტროს კანცელარიას და ამ დაუშვან მათი უშუალოდ გადაცემა სხვა სამმართველო-განყოფილებებზე;

ზ) მშრომელთა საჩივრების განხილვასთან დაკავშირებით ქვემდებარე ორგანოებისადმი მიცემული დავალებების შეუსრულებლობასა და საქმის გაჭიანურებაში დამნაშავე პირების მიმართ, საკითხი დააყენონ სამინისტროს ხელმძღვანელობის წინაშე საჭირო ზომების მისაღებად;

თ) სისტემატურად შეამოწმონ განცხადება-საჩივრების მიღების, რეგისტრაციის და პასუხების გაცემის მდგომარეობა და მიიღონ ზომები შემჩნეულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

2. ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილებამ (ამხ. ვ. კეშელავა) და სამინისტროს კანცელარიამ (ამხ. ნ. ჩოჩია):

ა) უზრუნველყონ განცხადება-საჩივრების და მოწერილობათა გულდასმით წაკითხვა, მათი რეგისტრაცია და დაუგვიანებლად კუთვნილებისამებრ სამმართველო-განყოფილებებზე ჩაბარება;

ბ) სარეგისტრაციო ჟურნალებში რეგისტრაცია აწარმოონ წესიერად, რომ ყველა კითხვაზე გაცემული იყოს მოკლე და გასაგები პასუხები;

გ) არ დაუშვან კორესპონდენციების სამმართველო-განყოფილებებზე არაკუთვნილებისამებრ გადაცემა;

დ) სისტემატურად შეამოწმონ კანცელარიის მუშაკების მუშაობა კორესპონდენციების მიღების, რეგისტრაციის და პასუხების გაგზავნის საკითხებზე.

4. სამინისტროს ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილებამ განათლების ორგანოების ხელმძღვანელ და საანგარიშო დარგის მუშაკებისათვის ადგილებზე ჩაატაროს სემინარები შრომის კანონმდებლობის საკითხებზე.

5. გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქციამ სისტემატურად გამოაქვეყნოს წერილები განათლების ორგანოებში მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების განხილვის მდგომარეობაზე და ამხილოს ბიუროკრატიზმის და საქმის გაჭიანურების შემთხვევები.

6. რჩევა მიეცეს სამინისტროსთან არსებულ ადგილკომს აღნიშნული ბრძანება განიხილონ სამინისტროს სამმართველო-განყოფილებათა საწარმოო თათბირებზე.

7. მინისტრის თანაშემწემ ამხ. დ. დუდუჩავამ დააწესოს კონ-
ტროლი ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობაზე და მდგომა-
რეობის შესახებ პერიოდულად მომახსენოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1959 წლის 9 იანვრის კოლეგიის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი

**გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბრძანება

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

## № 123

1959 წლის 10 თებერვალი

**1958 წელს ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე განაწილებისა და მათი სამუშაოზე გამოცხადების მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ**

აღვნიშნავ, რომ 1958 წელს რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო პედსასწავლებლის კურსდამთავრებულთაგან სამუშაოზე განაწილდა 983 ახალგაზრდა სპეციალისტი.

მათ შორის:

1. ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული — 381.

2. რესპუბლიკის პედაგოგიური ინსტიტუტების კურსდამთავრებული — 131.

3. რესპუბლიკის პედაგოგიური სასწავლებლის კურსდამთავრებული — 471.

დასახელებული ახალგაზრდა სპეციალისტების უმრავლესობა სამუშაოზე გამოცხადდა და ისინი ეწევიან საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას მაგრამ ზოგიერთმა მათგანმა გამოიჩინა სრული უპასუხისმგებლობა, თავი აარიდა რაიონის სკოლებში მუშაობას და დღემდე სამუშაოზე არ გამოცხადებულა.

მაგალითად: 1. თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებული, თიანეთის რაიონის მკვიდრი მცხოვრები გურამ გიორგის ძე ღვინიაშვილი სამინისტროს ბრძანებით სამუშაოზე განაწილებულია თიანეთის რაიონის სიმონიანთხევის საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ღვინიაშვილი იმყოფება თიანეთში, სამუშაოზე არ ცხადდება, ხოლო სიმონიანთხევის საშუალო სკოლაში რუსული ენის სწავლება იშლება.

2. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა ნელი იონას ასულმა გუბელაძემ სამინისტროში განცხადება შემოიტანა და მოითხოვა ბუნებისმეტყველების მასწავლებლად დანიშვნა წალკის რაიონის გუმბათის საშუალო სკოლაში, სამინისტრომ დააკმაყოფილა გუბელაძის თხოვნა — დანიშნა ის გუმბათის საშუალო სკოლაში, მაგრამ გუბელაძე სკოლაში არ გამოცხადებულა.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ დააკმაყოფილა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის, გურჯაანის რაიონის სოფელ მელაანში მცხოვრებ გურამ სიმონისძე დათუაშვილის თხოვნა და ის თავის მეუღლე ეთერ დავითის ასულ დანელიასთან ერთად გაანაწილა მელაანის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებლად. დათუაშვილი და დანელია გამოცხადდენ რაიონში, მაგრამ სამუშაო მიატოვეს.

4. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ჟუჟუნა ალექსანდრეს ასული კიკნაძე, განაწილებული ბოლნისის რაიონის კაზრეთის საშუალო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებლად, სამუშაოზე არ გამოცხადდა, რის გამოც კაზრეთის სკოლაში ინგლისური ენის გაკვეთილები ცდებოდა სასწავლო წლის პირველი მეოთხედის განმავლობაში.

5. ასევე არ გამოცხადდენ სამუშაოზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები ლალი ცოტაძე, ნიკოლოზ ბურდული, ნადეჟდა ფურცელაძე ლალი დოლიძე, ემა ჩიქვინიძე, სოფიო რაპოპორტი, რევაზ ცხვედაძე, მედეია ჯიჯეიშვილი, სარიყ ამიჩბა. რანუ არშბა, ვალერიან კურასკუა და სხვები.

აღსანიშნავია, რომ სამუშაოზე გამოუცხადებელ კურსდამთავრებულთაგან უმრავლესობას მიღებული აქვს გადასაყვანი საშვებულებო თანხები.

სამუშაოზე გამოუცხადებელი კურსდამთავრებულები გამოძახებული იქნენ სამინისტროში (ხშირ შემთხვევაში გამოძახებული იქნენ მათი მშობლებიც). მათთან ჩატარდა საუბარი. წინადადება მიეცათ წასულიყვნენ სამუშაოზე ან, არსებული ინსტრუქციის საფუძველზე სახელმწიფოსათვის უკან დაებრუნებიათ გადასაყვანი და საშვებულებო თანხები, მაგრამ ისინი არც სამუშაოზე გაემგზავრნენ და არც თანხის დაბრუნების ქვითარი წარმოადგინეს სამინისტროში.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს განათლების სამინისტროს სისტემაში შემავალი პედაგოგიური ინსტიტუტების დირექტორებს:

ა) სათანადო დონეზე დააყენონ სტუდენტთა შორის პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობა; სისტემატურად ჩაატარონ აღმზრდელობითი ხასიათის თემებსა და საბჭოთა ახალგაზრდობის მორალურ-ეთიკურ ლექცია მოხსენებები და საუბრები;

ბ) განამტკიცონ კავშირი ინსტიტუტის კურსდამთავრებულებთან, უშუალოდ გაეცნონ და შეისწავლონ მათი მუშაობა ადგილებზე, გაუწიონ სათანადო პედაგოგიურ-მეთოდური დახმარება, მოაწყონ ინსტიტუტების კურსდამთავრებულ მოწინავე მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკთა მუშაობის პოპულარიზაცია სტუდენტთა შორის, მათი შეხვედრები დამამთავრებელი კურსის სტუდენტებთან;

გ) განსაკუთრებული მუშაობა ჩაატარონ დამამთავრებელი კურსის სტუდენტებთან; დროულად და საფუძვლიანად გააცნონ თითოეულ მათგანს ახალგაზრდა სპეციალისტთა სამუშაოზე განაწილების დებულება;

დ) სისტემატური მეთვალყურეობა დააწესონ ახალკურსდამთავრებულთა სამუშაოზე განაწილებისა და ადგილებზე მათი გამოცხადების საქმეში; საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განაწილებისა და სათანადო ნებართვის გარეშე სხვა სამუშაოზე მათი თვითნებურად მოწყობის შემთხვევები აცნობონ სამინისტროს სათანადო ზომების მისაღებად;

ე) შეისწავლონ კურსდამთავრებულთა სამუშაოზე გამოუცხადებლობის მიზეზები, ჩაატარონ სათანადო ახსნა-განმარტებითი მუშაობა და უზრუნველყონ სამუშაო ადგილებზე მათი გამგზავრება, საჭირო შემთხვევაში კი მათ მიერ მიღებული საშვებულებო და გადასაყვანი თანხების უკან დაბრუნება.

2. ეცნობოს სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, რომ 1957—58 სასწავლო წელს კურსდამთავრებულთა ნაწილმა თავი აარიდა სამუშაოს და დღემდე არ გამოცხადებულა ადგილებზე.

3. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებათა გამგეებს:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სამუშაოზე დანიშნულ ახალგაზრდა სპეციალისტებს, შეუქმნან მათ ადგილებზე ნორმალური მუშაობის პირობები, მზრუნველობით მოეკიდონ მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საქმეს და სისტემატურად აღმოუჩინონ პედაგოგიურ-მეთოდური დახმარება;

ბ) არ დაუშვან იმ ახალგაზრდა სპეციალისტების მიღება სამუშაოზე, რომლებიც საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ არ იქნებიან მივლინებული მათს განკარგულებაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) აქტიური მონაწილეობა მიიღონ 1958—59 სასწავლო წელს უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა სამუშაოზე განმანაწილებელი კომისიების მუშაობაში;

დ) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დროულად წარმოუდგინონ დაზუსტებული განაცხადი 1959—60 სასწავლო წლისათვის საჭირო პედაგოგიური კადრების შესახებ.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1959 წლის 23 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი

**გ. ნ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

## № 128

1959 წლის 13 თებერვალი

**სიღნაღის, ყვარლის, ჩხოროწყუსა და წალენჯიხის რაიონების ზოგიერთ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შ ე ს ა ხ ებ**

გავეცანი, რა სიღნაღის, ყვარლის, ჩხოროწყუსა და წალენჯიხის რაიონების სკოლების მუშაობის შემოწმების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში ზოგიერთ სკოლას ერთგვარი წარმატებები აქვს მოპოებული, კარგად მუშაობენ: ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები მ. ბაშინჯაღოვი (სიღნაღის I სკოლა), ვ. შავგულიძე (ყვარლის მეორე საშუალო სკოლა), ი. ჯაიანი (ჩხოროწყუს საშუალო სკოლა), თ. კვარაცხელია (წალენჯიხის საშუალო სკოლა); რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები: გ. მარქაროვი (ყვარლის რაიონი, საბუის საშუალო სკოლა), მ. ბზობიძე (ყვარლის რაიონი, ენისელის საშ. სკოლა), ნ. მათიკაშვილი (ყვარლის მე-2 საშუალო სკოლა); ფიზიკის მასწავლებლები—ა. მჭედლიშვილი, ნ. ტაველიძე (სიღნაღის პირველი საშუალო სკოლა), ქიმიის მასწავლებლები — მ. გოგნიაშვილი (ყვარლის მე-2 საშუალო სკოლა), ა. ლათებაშვილი (სიღნაღის პირველი საშუალო სკოლა), ო. ხიზანიშვილი (ყვარლის რაიონი, შილდის საშუალო სკოლა), მ. სიჭინავა (ჩხოროწყუს რაიონი, ლესიჭინეს საშუალო სკოლა); ისტორიის მასწავლებლები — გ. ბეიტრიშვილი (სიღნაღის რაიონი, ვაქირის საშუალო სკოლა), ა. მენთეშაშვილი (სიღნაღის რაიონი, ქვემო მაჩხაანის საშუალო სკოლა), ვ. ჩიქობავა (წალენჯიხის საშუალო სკოლა), ბიოლოგიის მასწავლებელი ვ. კვარაცხელია (წალენჯიხის რაიონი, ჯგვალის საშუალო სკოლა).

კარგად არის დაყენებული სწავლების შეერთება მწარმოებლურ შრომასთან წალენჯიხის საშუალო სკოლაში. აქ მოსწავლეთა

საწარმოო ბრიგადას მოსავლელად ჰქონდა 7 ჰექტარი ჩაის პლანტაცია. მოსწავლეთა ენერგიული შრომის შედეგად ამ ფართობზე მოკრეფილ იქნა და სახელმწიფოს ჩაბარდა 50 ტონა ჩაის ფოთოლი. შრომაში სახელი გაითქვეს ბრიგადის წევრებმა: ი. ჭანტურიამ, ტ. მიქავამ, გ. მორგოშიამ, რომელთაც მოკრიფეს 1200—4000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ბრიგადირმა ი. გოგინავამ მოკრიფა 5500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი და მიიღო 9.500 მანეთი. სულ რაიონში მოსწავლეთა მიერ ხუთასიათასზე მეტი კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლია მოკრეფილი.

კარგად მუშაობენ ჩხოროწყუს რაიონის მუხურის საშუალო სკოლის მოსწავლეთა საწარმოო ბრიგადები.

მიუხედავად ამისა, სიღნაღის, ყვარლის, წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონების სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს. ძალზე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს ქართულ ლიტერატურაში ჩხოროწყუს რაიონის ლესიჭინის საშუალო სკოლის (მასწავლებელი ი. სიჭინავა) X კლასის მოსწავლეებმა. მათ არ იციან პროგრამული მასალის ელემენტარული საკითხები. ასევე არადამაკმაყოფილებელი მომზადება გამოამჟღავნეს წალენჯიხის რაიონის ლიის საშუალო სკოლის X კლასის (მასწ. გ. სამუშია) და სიღნაღის რაიონის ტიბაანის საშუალო სკოლის (მასწავლებლები ნ. გურაშვილი და ზ. ბოლოდაშვილი) მოსწავლეებმა. სიღნაღის რაიონის ვაქირის საშუალო სკოლის V კლასის ქართულის ენის მასწავლებელი ე. დარჩიაშვილი სუსტად ფლობს საგანს და მისი სწავლების მეთოდებს, გაკვეთილების თხრობის დროს უშვებს უხეშ ენობრივ შეცდომებს.

შესწავლილ სკოლებში ვულდასმით არ სწორდება მოსწავლეთა წერითი საკონტროლო ნამუშევრები. მოსწავლეთა წერითი საშინაო ნამუშევრების გასწორებას კი სრულიად არ ექცევა ყურადღება.

დაბალ დონეზეა დაყენებული რუსული ენის სწავლება ჩხოროწყუს საშუალო სკოლის VI—VII კლასებში. მასწავლებელ ი. კახიანს არა აქვს უმაღლესი განათლება, ვერ ფლობს რუსულ ენას, და უშვებს უხეშ ენობრივ შეცდომებს. სუსტად ფლობს რუსულ ენას სიღნაღის რაიონის ვაქირის საშუალო სკოლის II—III კლასის მასწავლებელი კ. ბუტიკაშვილი და V კლასის მასწავლებელი ე. დარჩიაშვილი. ძალზე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს წალენჯიხის რაიონის ლიის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეებმა (მასწ. მ. კრუპნოვა). მოსწავლეები უშვებენ უხეშ ენობრივ შეცდომებს; ვერ ახერხებენ არსებითი სახელების დასახელებას,

ერთმანეთისაგან ვერ არჩევენ დედრობითი და მამრობითი სქესის სახელებს, წარმოდგენა არა აქვთ არსებითი სახელების ბრუნვასა და ბრუნებაზე.

ასევე არადამაკმაყოფილებელი მომზადება გამოამჟღავნეს ჩხოროწყუს რაიონის მუხურის (მასწავლებელი ვ. სიჭინავა), წალენჯიხის რაიონის ჯგალის (მასწავლებელი რ. ლომაია) საშუალო სკოლების მოსწავლეებმა. სათანადოდ არ ემზადებიან გაკვეთილებისათვის და დაბალხარისხოვან გაკვეთილებს ატარებენ ყვარლის რაიონის საბუის საშუალო სკოლის IV კლასის მასწავლებელი ე. თურქაძე, ენისელის საშუალო სკოლის IV კლასის მასწავლებელი ზ. კეცელაშვილი, შილდის საშუალო სკოლის მასწავლებელი ე. ანაშვილი. რუსული ენის სრული უცოდინარობა გამოამჟღავნა წალენჯიხის რაიონის ქვემო მაზანდარის მე-7 კლასის მასწავლებელმა ფ. შანავამ, რომელიც დროებით ასწავლის დეკრეტულ შვებულებაში მყოფი მასწავლებლის ნაცვლად. ჩხოროწყუს, მუხურის და ჯგალის საშუალო სკოლების მე-10 კლასის მოსწავლეებმა ძალზე უწიგნურად შეასრულეს საკონტროლო სამუშაოები. ვერცერთმა მოსწავლემ ვერ მიიღო დამაკმაყოფილებელი ნიშანი.

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით ხასიათდება ფიზიკის სწავლება. ყვარლის რაიონის შილდის საშუალო სკოლის (მასწავლებლები თ. უთურაშვილი, ზ. ზურაბიშვილი, გ. მიჩილაშვილი). X კლასის მოსწავლეებმა არ იციან კომპონენტებს შორის დამოკიდებულება. VIII კლასის მასწავლებელმა ზ. ზურაბიშვილმა ახალი მასალა „სიმძიმის ცენტრი“ ისე ახსნა, რომ არ ჰქონდა მომზადებული ცდები სხეულთა წონასწორობის პირობების სადემონსტრაციოდ. VII კლასის მოსწავლეებმა არ იციან საზომ ხელსაწყოთა სმარება, ვერ ადგენენ უმარტივეს ელექტრო წრედის სქემას, არ ეალუძთ საზომ ხელსაწყოთა დანაყოფის ფაზის გაანგარიშება, ჩვეულებრივი წილადის ათწილადად გარდაქმნა და სხვ.

ასევე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს ფიზიკაში საბუის საშუალო სკოლის IX, X კლასების (მასწავლებელი ვ. გურმენაშვილი) მოსწავლეებმა. ენისელის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლეებმა (მასწავლებელი ო. მინდიაშვილი) ვერ შესძლეს ანალიზი გაეკეთებიათ მუდმივი დენის კანონთა გამომსახველი ფორმულებისათვის. ისინი ვერ ერკვევიან ელწრედის შიდა წინააღმდეგობაში და ვერ ახერხებენ მარტივი ამოცანების ამოხსნას.

ძალზე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს ფიზიკაში სიღნაღის რაიონის ვაქირის (მასწავლებლები ვ. ცერცვაძე, ნ. გოგიაშვილი), ტიბაანის (მასწავლებელი მ. ნაცვლიშვილი), ჩხოროწყუს

რაიონის მუხურის (მასწავლებლები ბ. გახარია, ა. ჩიქოვანი), ლესიჭინის (მასწავლებელი კ. სიჭინავა), წალენჯიხის რაიონის ლეის (მასწავლებელი ტ. გოგოსია) საშუალო სკოლების მოსწავლეებმა. აღნიშნულ სკოლებში საჭირო პირობები არ არის შექმნილი ლაბორატორული სამუშაოების, პრაქტიკუმებისა და სადემონსტრაციო ცდების ჩატარებისათვის, არა აქვთ ელექტრო დენის წყარო, რის გამო არ ხერხდება ხელსაწყოთა დიდი ნაწილის გამოყენება. არ ხდება ფიზიკის გაკვეთილებზე მიღებული თეორიული ცოდნის გაფართოება და გაღრმავება მანქანათმცოდნეობისა და ელექტროტექნიკის პრაქტიკუმებსა და აგრეთვე სახელოსნოებში მუშაობის დროს.

მოუთმენელ მდგომარეობაშია ქიმიის სწავლება ყვარლის რაიონის საბუის საშუალო სკოლის VIII და IX კლასებში. მასწავლებელი ს. ბეჟიკოშვილი სათანადოდ ვერ ფლობს საგანს, მისი სწავლების მეთოდებს და რიგ მნიშვნელოვან საკითხებში თვითონაც ვერ ერკვევა. მან ვერ ახსნა ელემენტთა აქტივობა ატომის აღნაგობის საფუძველზე, ვერ განასხვავა ურთიერთისაგან მარტივი ნივთიერება და ელემენტი, სუსტად ერკვევა ჟანგვა-აღდგენის საკითხებში. აქ სრულებით არ ეძლევათ მოსწავლეებს საშინაო დავალებები ამოცანების ამოხსნაზე, არ სწარმოებს გავლილი მასალის გამეორება. ყვარლის რაიონის შილდის საშუალო სკოლის VII კლასში ქიმიას ასწავლის გეოგრაფი ბ. მინასოვი, რომელმაც სრულებით არ იცის საგანი.

ძალზე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს სიღნაღის რაიონის ტიბაანის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა. მასწავლებელი მ. პაპუაშვილი მოუმზადებლად ატარებს გაკვეთილებს, არ აძლევს მოსწავლეებს საშინაო დავალებებს ამოცანების ამოხსნაზე, არ ახდენს გავლილი მასალის თანმიმდევრულ განმეორებას, ვერ აბამს კლასს მუშაობაში.

წალენჯიხის რაიონის ქვემო მაზანდარის 7 წლიან სკოლას აქვს ქიმიური რეაქტივების სრული კომპლექტი, რომელსაც მასწავლებელი ო. თოლორდავა სრულიად არ იყენებს სწავლებაში. უწესრიგო მდგომარეობაშია ქიმიის კაბინეტი ჩხოროწყუს საშუალო სკოლაში. ჩხოროწყუს საშუალო სკოლის V კლასის ბოტანიკისა და სასწავლო საცდელ ნაკვეთზე პრაქტიკული მეცადინეობის მასწავლებელი გ. არახამია არ ემზადება გაკვეთილებისათვის, ვერ ერკვევა პროგრამით გათვალისწინებულ პრაქტიკულ სამუშაოებსა და დემონსტრაციებში. მოსწავლეებმა სუსტად იციან ფესვის მნიშ-

ვნელობა, ფესვის ზრდა, ერთლებნიან და ორლებნიან მცენარეთა თესლების აგებულება და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზეპირსიტყვიერად ისწავლება ბიოლოგია წალენჯიხის რაიონის ქვემო მაზანდარის 7-წლიან სკოლაში (მასწავლებელი ო. თოლორდავა). გავლილი მასალის სუსტი ცოდნა გამოამჟღავნეს ბიოლოგიაში ჩხოროწყუს რაიონის მუხურის (მასწავლებელი ნ. ბარაბაძე) და ლესიჭინის (მასწავლებელი ვ. სიგუა) საშუალო სკოლების მოსწავლეებმა. ჩხოროწყუსა და წალენჯიხის რაიონების შესწავლილ სკოლებში სოფლის მეურნეობის პრაქტიკუმის საათები მე-8 კლასებში განაწილებულია ორ მასწავლებელს შორის. ჩხოროწყუს რაიონის ლესიჭინის საშუალო სკოლის რუსული სექტორის V—VII კლასებში ბიოლოგიასა და პრაქტიკულ მეცადინეობას ასწავლიან ისტორიკოსი გ. ნარსია და რუსული ენის მასწავლებელი ე. სიჭინავა, რომელთაც არ შეუძლიათ ამ საგნების სწავლების მოწოდების სიმაღლეზე დაყენება. სუსტად არის დაყენებული ნორჩ ნატურალისტთა წრეების მუშაობა.

არ სწარმოებს ცდები და დაკვირვებები სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე, ბიოლოგიისა და ბოტანიკის კუთხეებში. სკოლებს არა აქვთ სასწავლო ექსკურსიების გეგმა. იშვიათად ეწყობა სასწავლო ექსკურსიები.

ძალზე დაბალ დონეზე დგას ისტორიის სწავლება სიღნაღის რაიონის ტიბაანის საშუალო სკოლის X კლასში. მასწავლებელი შ. გურაშვილი სუსტად ფლობს საგანს და მისი სწავლების მეთოდებს. თემის—„გერმანია 1919—1939 წ.წ.“ ახსნისას მან არაფერი თქვა ისეთ აქტუალურ საკითხებზე, როგორიცაა დაუესის გეგმა, ლოკარნოს ხელშეკრულება, მიუნჰენის შეთანხმება და სხვა. სუსტი მომზადება გამოამჟღავნეს ყვარლის მეორე (მასწავლებელი ი. სეფაშვილი) და ენისელის საშუალო სკოლების X კლასების (მასწავლებელი დ. მესაბლიშვილი) მოსწავლეებმა.

ასევე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს ჩხოროწყუს რაიონის ლესიჭინის საშუალო სკოლის X კლასის (მასწავლებელი გ. ხორავა) მოსწავლეებმა. მათ არა აქვთ ნათელი წარმოდგენა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: რსდმპ II—ყრილობა, რუსეთ-იაპონიის ომი, რუსეთის პირველი რევოლუცია, მეფის რუსეთის მონაწილეობა პირველ მსოფლიო ომში, ლენინის აპრილის თეზისები, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა და სხვ. შემოწმებულ სკოლებში არაა მოწყობილი ისტორიის კაბინეტები.

სიღნაღის რაიონის ვაქირის (მასწავლებლები ნ. ხუციშვილი,

ნ. ანდრაზაშვილი) ტიბაანის (მასწავლებლები ი. ბალიაშვილი, მ. მახაროblიშვილი), ქვემო მაჩხაანის (მასწავლებლები ვ. ჭუჭულაშვილი), ყვარლის II (მასწავლებელი გ. ჯალაღანია), ენისელის (მასწავლებელი პ. გომურაშვილი), საბუის (მასწავლებელი ს. ამბროსიშვილი), ჩხოროწყუს (მასწავლებლები ი. ჩალიგავა, პ. ქვარცხავა), ლესიჭინის (მასწავლებლები ბ. ხორავა, გ. ნარსია), მუხურის მასწავლებლები ღ. წურწუმია, ო. ჩიქოვანი) საშუალო სკოლებში არ არის შექმნილი საჭირო პირობები გეოგრაფიის სწავლების მოწოდების სიმაღლეზე დაყენებისათვის. სკოლებს არა აქვთ გეოგრაფიის არც კაბინეტები და არც კლას-კაბინეტები. სრულიად არ მოეპოვებათ გეოგრაფიული შინაარსის სურათები, მოდელები, ქანების, მადნების, ნიადაგების კოლექციები, არა აქვთ პრაქტიკული ვარჯიშობისათვის საჭირო ხელსაწყო-იარაღები, არ არის დანერგილი ატლასზე მუშაობა, არ სწარმოებს ბუნების მოვლენებზე დაკვირვება. მასწავლებლები არ ასრულებენ სავალდებულო პრაქტიკულ სამუშაოებს.

შეფ-ორგანიზაციის სახელოსნო სასწავლებლის ბაზაზე ენისელის საშუალო სკოლას შეუძლია მაღალ დონეზე დააყენოს ელექტროტექნიკის პრაქტიკუმის სწავლება, მაგრამ მასწავლებელი რ. გურასპაშვილი ნაკლებად იყენებს ამ შესაძლებლობას. იგი არაორგანიზებულად ატარებს პრაქტიკუმებს, საამქრო, სადაც მეცადინეობა ტარდება, არაა უზრუნველყოფილი მოსწავლეთა მუშაობისათვის საჭირო დგამ-ავეჯით, მოსწავლეები ვერ არჩევენ საზომ ხელსაწყოთა ტიპებს, გაცნობილი არ არიან ელექტრო სამონტაჟო სამუშაოებს. შემოწმებულ სკოლებში არაა მოწყობილი სასწავლო სახელოსნოები. ყვარლის I და II, წალენჯიხის რაიონის ჯგალის, ჩხოროწყუსა და მუხურის საშუალო სკოლებს აქვთ ავტომანქანის ძვანძები და ტაბულები, მაგრამ ამ სკოლებში უწესივროდაა მანქანათმცოდნეობის კაბინეტები.

სიღნაღის, ყვარლის, წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონების განათლების განყოფილებები და სკოლები სათანადოდ არ ხელმძღვანელობენ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების კანონის გატარების საქმეს, არსებითად არ სწავლობენ მოსწავლეთა სკოლიდან გასვლის მიზეზებს და არ ღებულობენ ეფექტურ ზომებს განთესვის თავიდან ასაცილებლად, სკოლიდან გასული მოსწავლეების სწავლებაში ჩასაბმელად.

სიღნაღის რაიონის სკოლებში სახალხო მეურნეობის გეგმით წელს უნდა იყოს 7760 ბავშვი, ფაქტიურად კი რაიონის სკოლებში 7589 მოსწავლეა (გეგმის შესრულებას აკლია 171); სწავლებაში

ჩაბმულია ყვარლის რაიონის სკოლებში 6442 ბავშვის ნაცვლად 6290 ბავშვი ანუ 152 ბავშვით ნაკლები; წალენჯიხის რაიონის სკოლებში 5694 ბავშვის ნაცვლად 5374 ბავშვი ანუ 320 ბავშვით ნაკლები; ჩხოროწყუს რაიონის სკოლებში 5090 ბავშვის ნაცვლად 4922 ბავშვი ანუ 168 ბავშვით ნაკლები. სიღნაღის რაიონის ვაქირის საშუალო სკოლას წელს ჩამოცილდა 18 მოსწავლე, ანაგის საშუალო სკოლას—8, ყვარლის რაიონის საბუის საშუალო სკოლას—7, წალენჯიხის რაიონის ლიის საშუალო სკოლას—8, ჩხოროწყუს რაიონის ლესიჭინის საშუალო სკოლას—9 მოსწავლე.

მეთოდურად და პედაგოგიურად გაუმართლებლად არის შედგენილი გაკვეთილების ცხრილი სიღნაღის პირველ, ტიბაანის, ყვარლის რაიონის საბუის, ენისელის, ჩხოროწყუს რაიონის მუხურის, წალენჯიხის რაიონის ლიისა და ჯგალის საშუალო სკოლებში. არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული მეთოდური მუშაობა სიღნაღის რაიონის ტიბაანის, ყვარლის რაიონის საბუის წალენჯიხის რაიონის ლიის საშუალო სკოლებში.

ბევრ სკოლაში სუსტად არის დაყენებული შინა სასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა. მცირე რაოდენობით აქვთ მოსმენილი გაკვეთილები სიღნაღის რაიონის ტიბაანის საშუალო სკოლის დირექტორს მ. მახარობლიშვილს (47 გაკვეთილი), სიღნაღის პირველი საშუალო სკოლის დირექტორს გ. ჟუჟუნაშვილს (43 გაკვეთილი), სასწავლო ნაწილის გამგეს ს. ერიაშვილს (49 გაკვეთილი), ყვარლის რაიონის საბუის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს პ. დვალს (54 გაკვეთილი), ენისელის საშუალო სკოლის დირექტორს დ. მესაბლიშვილს (53 გაკვეთილი), ჩხოროწყუს რაიონის ლესიჭინის საშუალო სკოლის დირექტორს ვ. ვეკუას (41 გაკვეთილი). გარდა იმისა, რომ სკოლების დასახელებული ხელმძღვანელები მეტად იშვიათად ესწრებიან მასწავლებელთა გაკვეთილებს, ისინი სათანადო ანალიზს არ უკეთებენ მოსმენილ გაკვეთილებს და საჭირო მითითებებს არ აძლევენ მასწავლებლებს.

დაბალ დონეზე დგას პედაგოგიური საბჭოს მუშაობა სიღნაღის პირველ (დირექტორი გ. ჟუჟუნაშვილი), ვაქირის (დირექტორი ვ. ნანობაშვილი), ტიბაანის (დირექტორი მ. მახარობლიშვილი), ყვარლის რაიონის საბუის (დირექტორი დ. სეფიაშვილი), ენისელის (დირექტორი დ. მესაბლიშვილი), ჩხოროწყუს რაიონის ლესიჭინის (დირექტორი ვ. ვეკუა), მუხურის (დირექტორი კ. ჩიქოვანი), წალენჯიხის რაიონის ლიის (დირექტორი ვ. ჟვანია) საშუალო სკოლებში: არაა გაკეთებული მეოთხედში ჩატარებული

მუშაობის ღრმა და საფუძვლიანი ანალიზი, არ არის დასახული კონკრეტული ღონისძიებანი სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბალია მოსწავლეთა აკადემიური წარმატება. სასწავლო წლის 1 ნახევრის შედეგად ვერ ასწრებდა წალენჯიხის რაიონის სკოლების 4967 მოსწავლიდან 10 2 (20,2%), აქედან I კლასში 93 მოსწავლე და 60 მეორეწლიანი მოსწავლე. აღსანიშნავია, რომ I კლასში მეორეწლიანია 67 მოსწავლე; სიღნაღის რაიონში 7393 მოსწავლიდან—1191, აქედან I კლასში 117 და 368 მეორეწლიანიდან—88; ყვარლის რაიონში 6023 მოსწავლიდან—1223, აქედან I კლასში—91, 492 მეორწლიანიდან—102. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს I კლასში დატოვებული იქნა 85 მოსწავლე. ანალოგიური მდგომარეობა ჩხოროწყუს რაიონის სკოლებში.

სუსტადაა დაყენებული პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობა. სასწავლო წლის პირველი ნახევრის შედეგად ვერ ასწრებს წალენჯიხის რაიონში 459 კომკავშირელიდან—59, 1716 პიონერიდან 454 პიონერი, სიღნაღის რაიონში 605 კომკავშირელიდან—141, 3072 პიონერიდან—474.

ანალოგიური მდგომარეობაა ყვარლისა და ჩხოროწყუს რაიონებში. სიღნაღის რაიონის ვაჭირის საშუალო სკოლის დირექტორი ვ. ნანობაშვილი სუსტად ხელმძღვანელობს სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას, არ იცნობს განათლების სამინისტროს სახელმძღვანელო დოკუმენტებს, არ ზრუნავს სკოლის კეთილმოწყობისათვის. სკოლაში არ არის დაცული სანიტარულ-ჰიგიენური რეჟიმი.

სიღნაღის, ყვარლის, ჩხოროწყუსა და წალენჯიხის რაიონების სკოლების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი გამოწვეულია იმით, რომ აღნიშნული რაიონების განათლების განყოფილებები ჯეროვან ხელმძღვანელობასა და კონტროლს არ ახორციელებენ სკოლების მუშაობაზე და სრულიად მივიწყებულია სკოლებზე მიცემული მითითებების შესრულების შემოწმების პრაქტიკა.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სიღნაღის, ყვარლის, წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) ზუსტად აღრიცხონ სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი აბალი სასწავლო წლიდან სწავლებაში მათ ჩასაბმელად. მკაცრი ზომები მიიღონ სკოლის იმ ხელმძღვანელების მიმართ, რომლებიც მოფიქრებულ პედაგოგიურ ღონისძიე-

ბებს არ ატარებენ სწავლებაში ჩაბმულ მოსწავლეთა კონტინგენტის შესანარჩუნებლად;

ბ) რეგულარულად შეისწავლონ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობა, შედეგები განიხილონ განათლების საბჭოს სხდომებზე და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, სისტემატურად შეამოწმონ სკოლებისათვის მიცემული მითითებების შესრულების მდგომარეობა;

გ) სკოლის დირექტორებთან და შეფორგანიზაციებთან ერთად უზრუნველჰყონ სკოლებში სასწავლო სახელოსნოების სრულყოფილად მოწყობა და სასწავლო კაბინეტების შევსება საჭირო ხელსაწყო იარაღებითა და რეაქტივებით;

დ) ფართოდ განაზოგადონ და დანერგონ მუშაობაში იმ სკოლების გამოცდილება, რომლებმაც უზრუნველყვეს სწავლების შეერთება მწარმოებლურ შრომასთან;

ე) დასახონ და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების სანიმუშოდ მოსამზადებლად, უზრუნველჰყონ სასკოლო შენობის, ეზოს და სასკოლო მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობა;

ვ) მიიღონ ზომები, სადაც შესაძლებელია, სკოლების ელექტროდენით უზრუნველსაყოფად;

ზ) სასწავლო წლის IV მეოთხედში შეისწავლონ ამ ბრძანებაში აღნიშნული სუსტად ნომუშავე მასწავლებლების და სკოლის ხელმძღვანელების მუშაობა და გაატარონ საჭირო ღონისძიებანი.

2. სკოლის დირექტორებმა:

ა) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლებელთა მუშაობაზე, სისტემატურად მოისმინონ მასწავლებელთა გაკვეთილები და მიაღწიონ მასწავლებელთა პედაგოგიური დახელოვნების სრულყოფასა და სწავლების მაღალ დონეზე დაყენებას;

ბ) მუშაობა იმგვარად წარმართონ, რომ თითოეული მასწავლებელი საფუძვლიანად ემზადებოდეს ყოველი გაკვეთილისათვის; უზრუნველყოფილი იქნას პროგრამით გათვალისწინებული ცდებისა და ლაბორატორიული მუშაობის ჩატარება; ფართოდ დანერგონ მოსწავლეებში ხელსაწყოების თვითკეთების საქმე და ხელი შეუწყონ ხელსაწყოების პრაქტიკულად გამოყენებას ლაბორატორიულ მუშაობაში;

გ) პერიოდულად შეამოწმონ საპროგრამო მასალის გავლილია და ათვისების ხარისხი; განსაკუთრებული დახმარება აღმოუჩინონ მეორეწლიან და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებს, უზრუნველჰყონ მათი მომზადების დონის არსებითად ამაღლება.

3. სიღნაღის რაიონის ვაქირის საშუალო სკოლის დირექტორი ვ. ნანობაშვილი, რომელმაც ვერ უზრუნველყო სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი ხელმძღვანელობა, საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელება და სკოლის კეთილმოწყობა გათავისუფლდეს დირექტორის თანამდებობიდან.

4. მასწავლებელთა მუშაობაზე საჭირო კონტროლისა და ხელმძღვანელობის განუხორციელებლობისათვის მიეთითოთ სიღნაღის პირველი საშუალო სკოლის დირექტორს გ. ჟუჟუნაშვილს, სასწავლო ნაწილის გამგეს ს. ერიაშვილს, ტიბაანის საშუალო სკოლის დირექტორს გ. მახარობლიშვილს, ყვარლის რაიონის ენისელის საშუალო სკოლის დირექტორს დ. მესაბლიშვილს, საბუის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს ა. დვალს, ჩხოროწყუს რაიონის ლესიჭინის საშულო სკოლის დირექტორს ვ. ვეკუას.

5. საგნის სწავლების ძალიან დაბალ დონეზე დაყენებისათვის გამოეცხადოს საყვედური სიღნაღის რაიონის ვაქირის საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებლებს ვ. ცერცვაძეს, ნ. გოგიაშვილს; ჩხოროწყუს რაიონის ლესიჭინის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელ ი. სიჭინავას, ტიბაანის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელს შ. გურაშვილს, ჩხოროწყუს საშუალო სკოლის ბუნებისმეტყველების მასწავლებელს ა. არაბაშიას.

6. ყვარლის რაიონის განათლების განყოფილებამ განიხილოს საბუის საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელ ს. ბეჟიკოშვილის საკითხი და მიიღოს სათანადო გადაწყვეტილება.

7. როგორც არასპეციალისტებს ჩამოერთვათ საათები ჩხოროწყუს რაიონის ლესიჭინის საშუალო სკოლის რუსული სექტორის ბიოლოგიისა და პრაქტიკუმის მასწავლებლებს გ. ნარსიას, ე. სიჭინავას, ყვარლის რაიონის შილდის საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელს ბ. მინასოვს, წალენჯიხის რაიონის ქვემო მაზანდარის 7 წლიანი სკოლის რუსული ენის მასწავლებელს ვ. შანავას.

8. ჩხოროწყუს რაიონის განათლების განყოფილებამ (გამგე ვ. როდონაია) სათანადო წესის დაცვით წარმოადგინოს მასალები ჩხოროწყუს საშუალო სკოლის რუსული ენის მასწავლებლის ი. კახიანის სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ.

9. აღინიშნოს, რომ სიღნაღის რაიონის ვაქირის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ე. დარჩიაშვილი სამუშაოდან თავისუფლდება თავისი განცხადების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1959 წლის თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

## № 133

1959 წლის 14 თებერვალი

1958 წლის კაპიტალური მშენებლობის გეგმის შესრულების შესახებ.

აღინიშნოს, რომ სკოლებისა და განათლების სამინისტროს სხვა ობიექტების 1958 წლის კაპიტალური მშენებლობის გეგმა შესრულებულია 101,3%; გეგმით გათვალისწინებული 28.382.008 მან. ნაცვლად ათვისებულია 28.140.000 მანეთის მოცულობის საუშაოები. დამთავრებულია 10 სასკოლო შენობა 3560 მოსწავლე ადგილით (გეგმით გათვალისწინებული იყო 9 სასკოლო შენობა 3600 მოსწავლე ადგილით); 5 არსებულ შენობაზე მიშენებულია ახალი საკლასო ოთახები 1500 მოსწავლე ადგილით (გეგმით გათვალისწინებული იყო 4 სკოლის შენობაზე ახალი საკლასო ოთახების მიშენება 900 მოსწავლე ადგილით და ა. შ.).

მიუხედავად ამისა, სკოლებისა და სხვა ობიექტების მშენებლობაში ადგილი ჰქონდა რიგ სერიოზულ ნაკლოვანებებს:

გეგმით უნდა დამთავრებულიყო თეთრიწყაროს (თეთრიწყაროს რ.) და გორდის (წულუკიძის რაიონი) სკოლა-ინტერნატების სასწავლო კორპუსების, თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის შემაერთებელი კორპუსის, ორჯონიკიძის სახ. რაიონის სპორტდარბაზის და კალინინის სახ. რაიონის (ქ. თბილისი) სკოლის, სტალინირის პედინსტიტუტის სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის, ქ. გორისა და სოფ. დიდიჭყონის (გეგეჭკორის რაიონი) სკოლების მშენებლობა, ახალი ათონის (გუდაუთის რ.) სკოლისა და სოფ. ჭოპორტის (დუშეთის რაიონი) სკოლის შენობებზე ოთახების მიშენება. ამ ობიექტების მშენებლობა არ არის დამთავრებული, რაც აიხსნება იმით, რომ სამშენებლო ორგანიზაციები შეუწყნარებელი ნელი ტემპით აწარმოებდნენ სამუშაოებს და ეს ობიექტები არ იყო უზრუნველყოფილი ტრანსპორტით, მუშახელითა და სამშენებლო მასალებით (ცემენტი, ხე-ტყე და სხვა).

მუშაობის წარმართვას წინასწარ შედგენილი კალენდარული გეგმების მიხედვით რიგ ობიექტზე ხელი ეშლებოდა. ასე, მაგალითად: ქ. თბილისის კალინინის სახელობის რაიონის სკოლის მშენებლობაზე შეუძლებელი იყო მუშაობის გაშლა იმის გამო, რომ ამ სკოლის მშენებლობის ტერიტორია არ იყო მთლიანად განთავისუფლებული.

წითელწყაროს რაიონულ ცენტრში მშენებლობა დიდხანს შეჩერებული იყო ობიექტის ახალ სამშენებლო ორგანიზაციაზე (11 სამშენებლო სამმართველო) გადაცემის გაჭიანურების გამო. თვით შესრულებული სამუშაოების ხარისხი დაბალი იყო; დაბალია ხარისხი აგრეთვე ფოთისა და ყვარლის სკოლების მშენებლობაზე შესრულებული სამუშაოებისა.

მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობდა ქარელის, ყვარლის, დმანისის, ახმეტის, მჟავეწყლისა და წალენჯიხის სკოლების, დუშეთის რაიონის სოფ. ბარისახოსა და თეთრიწყაროს სკოლა-ინტერნატის სასწავლო კორპუსების მშენებლობა. ეს ობიექტები დროზე არ იყო უზრუნველყოფილი სამშენებლო მასალებით (ხეტყე, ცემენტი, სიმკარები, აგური და სხვა), ტრანსპორტით და მუშახელით.

ზოგიერთი ობიექტის ტექნიკური დოკუმენტაცია გადასაკეთებელი შეიქმნა მშენებლობის პროცესში ცვლილებების შეტანის გამო, რამაც მშენებლობას ხელი შეუშალა.

სოხუმის სკოლა-ინტერნატის სასწავლო კორპუსის მშენებლობა ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობდა, ხოლო ნოემბრის თვეში მუშაობა თითქმის შეწყდა (ათვისება იყო მხოლოდ 2 ათასი მანეთი) მისასვლელი გზების უვარგისობისა, სამშენებლო მასალებისა და ტრანსპორტის უქონლობის გამო.

განათლების ადგილობრივი ორგანოები სისტემატურად არ ამოწმებდნენ ადგილებზე მშენებლობის მიმდინარეობას, მშენებელ ორგანიზაციებს არ უწევდნენ საჭირო კონტროლსა და დახმარებას.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს აჭარისა და აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს, სამხრეთ ოსეთის ა/ო, აგრეთვე იმ რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებს, სადაც 1959 წლის გეგმით გათვალისწინებულია ახალი სკოლის და სხვა ობიექტების მშენებლობა:

ა) დროულად გაუფორმონ ხელშეკრულება მშენებელ ორგა-

ნიზაციას, მასთან ერთად შეადგინონ მშენებლობის კალენდარული გეგმა, გაუწიონ სისტემატური კონტროლი და დახმარება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ყოველი თვის 5 რიცხვში წარმოადგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში მოხსენებითი ბარათი მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ; მოხსენებაში გააშუქონ შემდეგი საკითხები: ობიექტის სრული დასახელება, მშენებლობის მწარმოებელი ორგანიზაცია (სამუშაოთა მწარმოებლის გვარი და სახელი), გეგმის შესრულების მდგომარეობა მოცულობით და თანხობრივად, შესრულებული სამუშაოების ხარისხი მშენებლობის უზრუნველყოფა ტექნიკური დოკუმენტაციით, დაფინანსებით, საშენებლო მასალებით, მუშახელით, ტრანსპორტით და სხვა.

გ) მოხსენებით ბარათს დაურთონ ზუსტად შევსებული ფორმა № 2—კს);

დ) მიიღონ გადამჭრელი ზომები იმისათვის, რომ ყოველ მიზეზს გარეშე ვადაზე იქნეს შესრულებული გეგმით გათვალისწინებული მშენებლობა.

2. დაევალოს განათლების სამისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებას (უფროსი ამხ. ა. ღადუა):

ა) მიიღოს საჭირო ზომები იმისათვის, რომ ყველა სამშენებლო ობიექტი დროულად იქნეს უზრუნველყოფილი ტექნიკური დოკუმენტაციით, დაფინანსებითა და ტექნიკური ზედამხედველობით;

ბ) გაუწიოს ხელმძღვანელობა განათლების ადგილობრივ ორგანოებს, რათა მათ ყოველდღიური კონტროლი და დამხმარება აღმოუჩინონ მშენებელ ორგანიზაციებს და დადგენილ ვადებში წარმოადგინონ სამინისტროში ცნობები მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ.

3. ეთხოვოს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს დაავალოს სათანადო ტრესტებს რათა მშენებლობის გეგმა მათ მიერ სრულდებოდეს ვადაზე და თანმიმდევრულად.

4. მიღებულ იქნეს ცნობად კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსის ამხ. ა. ღადუას განცხადება იმის შესახებ, რომ ანგარიში 1958 წლის კაპიტალური მშენებლობის გეგმის შესრულების შესახებ დაუგვიანებლად არის წარდგენილი ზემდგომ ორგანოებში.

საქართველოს განათლების
მინისტრი **გ. ნ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საოლქო და რაიონულ კომიტეტებს

# მიმართვა

„სსრ კავშირის პროფესიული კავშირების მუშაობის შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1957 წლის 17 დეკემბრის დადგენილების შესასრულებლად და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 15 ივლისის ბრძანებულებით დამტკიცებული „პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის უფლებათა“ დებულებით დადგენილი წესის განსახორციელებლად განვმარტავთ, რომ მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა (გარდა მათი, რომლებიც ჩამოთვლილია „შრომითი დავის განხილვის წესის შესახებ“ დებულების №1 დანართში) ადმინისტრაციის ინიციატივით სამუშაოდან დათხოვნა არ შეიძლება ადგილობრივი კომიტეტის თანხმობის გარეშე.

ამდენად, მუშაკთა სამუშაოდან დათხოვნის საკითხის წინასწარ განხილვა შრომითი დავის განმხილველ კომისიაში საჭირო არ არის.

ადმინისტრაციის ინიციატივით მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკთა სამუშაოდან დათხოვნა შრომის კანონთა კოდექსის 47 მუხლით გათვალისწინებულ ყველა შემთხვევაში დაიშვება მხოლოდ ადგილობრივი კომიტეტის თანხმობით, რისთვისაც სკოლისა და განათლების ორგანოსადმი დაქვემდებარებულ სხვა დაწესებულებათა ადინისტრაციამ მუშაკთა სამუშაოდან დათხოვნის შესახებ საკითხი უნდა დააყენოს ადგილობრივ კომიტეტში, უკანასკნელმა ადმინისტრაციის წარმომადგენლისა და დასათხოვნი მუშაკის თანდასწრებით საკითხი უნდა განიხილოს სხდომაზე და გამოიტანოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასაბუთებული დადგენილება მუშაკის სამუშაოდან დათხოვნის შესახებ. თუკი ადგილობრივი კომიტეტი სცნობს, რომ მუშაკი არის დასათხოვნი სამუშაოდან, ეს გაფორმდება დადგენილების სახით და ასეთ შემთხვევაში მუშაკის სამუშაოდან დათხოვნა არ შეიძლება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წ. 27 იანვარის დადგენილების საფუძველზე, იმ პირების შრომითი დავის განხილვა, რომლებიც ადმინისტრაციის ინიციატივით სამუშაოდან დათხოვნილი არიან პროფესიული კავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის თანხმობით ექვემდებარება უშუალოდ სახალხო სასამართლოს განიხილვას შრომითი დავის განმხილველ კომისიაზე და საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტზე მიმართვის გარეშე.

არასწორად სამუშაოდან დათხოვნისა და სამუშაოზე აღდგენის შესახებ მუშაკს შეუძლია სახალხო სასამართლოში განცხადება შეიტანოს ერთი თვის ვადაში დღიდან სამუშაოდან დათხოვნის შესახებ ბრძანების ჩაბარებისა.

განათლების განყოფილებებმა განათლების სამინისტროში მასწავლებლების (V—X კლასების) და სხვა განათლების სამინისტროს ნომენკლატურის მუშაკების სამუშაოდან დათხოვნის შესახებ წარდგინებას უნდა დაურთონ ადგილობრივი კომიტეტის ბეჭდის დასმით შემოწმებული დადგენილება მუშაკის დათხოვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

გავალებთ, რომ ეს განმარტება გააცნოთ სკოლის დირექტორებს (გამგეებს), განათლების ორგანოებისადმი დაქვემდებარებულ სხვა დაწესებულებათა ხელმძღვანელებს და ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარეებს, გაუწიოთ მათ კონკრეტული ხელმძღვანელობა მუშაკთა სამუშაოზე დათხოვნის კანონიერად გაფორმების საქმეში, არ დაუშვათ მუშაკთა უსაფუძვლოდ დათხოვნა და მათი კანონიერი უფლებების დარღვევა.

| | |
|---|---|
| საქართველოს სსრ<br>განათლების მინისტრი<br>**ვ. ნ. ჯიბლაძე** | განათლების, უმაღლესი სკოლისა<br>და სამეცნიერო დაწესებულებების<br>მუშაკთა პროფკავშირის საქარ-<br>თველოს რესპუბლიკური<br>კომიტეტის თავმჯდომარე<br>**ლ. მაღლაფერიძე** |

„ვამტკიცებ“
საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
(გ. ნ. ჯიბლაძე)
1959 წლის თებერვალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მითითებანი

## სოფლის ახალგაზრდობის 7-წლიანსა და საშუალო სკოლებში გამოსაშვები და სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდების შესახებ

გამოსაშვები და სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდები სოფლის ახალგაზრდობის 7-წლიანსა და საშუალო სკოლებში ტარდება „შვიდწლიანსა და საშუალო სკოლებში გამოსაშვები და სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდების შესახებ“ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსტრუქციის (1958 წლის გამოცემა) შესაბამისად.

**შენიშვნა:** სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლებში დაწესებულია თერთმეტწლიანი სწავლება.

2. სოფლის ახალგაზრდობის სკოლების IV, VIII, IX და X კლასებში მეცადინეობა წყდება 30 აპრილს, VII კლასში 9 აპრილს და XI კლასში 6 აპრილს.

3. I, II, III, IV, V, VI, VIII, IX და X კლასების მოსწავლეების კლასიდან კლასში გადაყვანა ხდება წლიური ნიშნების საფუძველზე. შემდეგ კლასებში გადაიყვანებიან ის მოსწავლეები, რომლებიც ასწრებენ ყველა საგანში.

4. I, II, III, IV, V, VI, VIII, IX და X კლასების მოსწავლეებს, რომელთაც აქვთ არადამაკმაყოფილებელი შეფასება ერთ ან ორ საგანში, ეძლევათ საზაფხულო დავალება, რომლის შემოწმება ტარდება 20 ოქტომბრიდან 25 ოქტომბრამდე (ჩათვლით).

5. I, II, III, IV, V, VI, VIII, IX და X კლასების მოსწავლეები, რომლებიც არადამაკმაყოფილებელ ნიშანს მიიღებენ სამ და მეტ საგანში, კურსის განმეორებით გასავლელად რჩებიან იმავე კლასში.

### გამოსაშვები გამოცდები VI კლასში

6. VII კლასში გამოცდები იწყება 15 აპრილს და მთავრდება 30 აპრილს. გამოცდები VII კლასში ტარდება შემდეგ საგნებში:

მშობლიურ ენაში-წერითი და ზეპირი, რუსულ ენში (არარუსულ სკოლებში)-წერითი და ზეპირი, ალგებრაში-არითმეტიკით წერითი. სულ 5 გამოცდა, მათგან 3 წერითი და 2 ზეპირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**შენიშვნა:** ლიტერატურულ კითხვაში VII კლასში საბოლოო ნიშნად წლიური ნიშანი იწერება.

7. წერითი გამოცდები VII კლასში ტარდება:

ა) მშობლიურ ენაში-15 აპრილს;

ბ) ალგებრაში-არითმეტიკით-21 აპრილს;

გ) რუსულ ენაში (არარუსულ სკოლებში)-24 აპრილს.

8. VII კლასში წერითი გამოცდებისათვის მოსწავლეებს შემდეგი სახის სამუშაო ეძლევათ: მშობლიურ ენაში მცირე მოცულობის ლიტერატურული ნაწარმოების ან ცალკე ეპიზოდის შინაარსის გადმოცემა; მოსწავლეებს ეძლევათ სამი თემა, რომელთაგან მათ უფლება აქვთ ერთ-ერთი აირჩიონ.

რუსულ ენაში (არარუსულ სკოლებში)—გავლილი მასალიდან პატარა მოთხრობის ან ნაწყვეტის შინაარსის გადმოცემა მისი წინასწარი წაკითხვით კლასში.

ალგებრაში-არითმეტიკით — ერთი ამოცანა ალგებრიდან და ორი მაგალითი (ერთი ალგებრიდან და მეორე-არითმეტიკიდან).

ამოცანები და მაგალითები ალგებრაში-არითმეტიკით VII კლასის მოსწავლეებს ეძლევათ ორ ვარიანტად, თანაბარი სიძნელისა.

წერითი გამოცდებისათვის VII კლასების მოსწავლეებს ეძლევათ დრო არა უმეტეს სამი ასტრონომიული საათისა.

9. საგამოცდო თემებს, ამოცანებსა და მაგალითებს VII კლასისათვის ადგენს რაიონის განათლების განყოფილება, რომელიც ამ მასალებს ამრავლებს სოფლის ახალგაზრდობის სკოლებისათვის საჭირო რაოდენობით, საგნების მიხედვით ათავსებს პაკეტში და ლუქავს, პაკეტზე აღნიშნავს გამოცდების ჩატარების თარიღს და აბარებს სკოლების დირექტორებს გამოცდის წინა დღეს. პაკეტს ხსნის საგამოცდო კომისის თავმჯდომარე კლასში საგამოცდო კომისიის წევრთა და მოსწავლეთა თანდასწრებით, უშუალოდ გამოცდების დაწყების წინ.

10. VII კლასის მოსწავლეები, რომლებსაც სასწავლო წლის პირველი და მეორე ნახევრის მანძილზე ყველა ძირითად საგანში აქვთ შეფასება არანაკლებ „3"-სა, გამონაკლისის სახით, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, შეიძლება განთავისუფლებულ იქნენ გამოსაშვები გამოცდებისაგან რაიონის განათლების განყოფილების მიერ.

სკოლის დამთავრების მოწმობა ამ შემთხვევაში უნდა გაიცეს წლიური შეფასების საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უგამოცდოდ შვიდი კლასის დამთავრების მოწმობის გაცემის საკითხის განხილვა ხდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე, რასაც თანდართული უნდა ჰქონდეს სამკურნალო დაწესებულებების საექიმო კომისიის დასკვნა, პედაგოგიური საბჭოს დადგენილება და მოსწავლის დახასიათება.

სასწავლო წლის პირველი და მეორე ნახევრის და აგრეთვე წლიური ნიშნები VII კლასის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა საგანში, წერით და ზეპირ გამოცდებზე მოსწავლის მიერ მიღებული ყველა შეფასება (იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლე გამოცდების პერიოდში გახდა ავად).

შუამდგომლობა მოსწავლის გამოცდებისაგან განთავისუფლების შესახებ სათანადო მასალებით განათლების განყოფილებაში მიღებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 11 აპრილისა, თუ იგი 11 აპრილიდან გამოცდების დაწყებამდე გახდება ავად-21 აპრილამდე, ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლე გამოცდების პერიოდში გახდა ავად-30 აპრილამდე.

ამ ვადების შემდეგ წარდგენილი შუამდგომლოებები განათლების განყოფილების მიერ განხილული არ იქნება და მასალების დაგვიანებით წარდგენისათვის პასუხისმგებლობა დაეკისრება სკოლის დირექტორს.

11. VII კლასის მოსწავლეთათვის, რომლებიც გამოცდების პერიოდში ავად გახდნენ და გამოცდების დამთავრებამდე გამოჯანმრთელდენ, რაიონის განათლების განყოფილება ადგენს დამატებით თემებს სკოლებისათვის დასაგზავნად.

პაკეტი სათადარიგო თემებით VII კლასში უნდა გაიხსნას:

ა) მშობლიურ ენაში-23 აპრილს;

ბ) ალგებრაში-არითმეტიკით-27 აპრილს;

გ) რუსულ ენაში (არარუსულ სკოლებში)-29 აპრილს.

12. ზეპირი გამოცდები VII კლასში ტარდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ შედგენილი ბილეთებით, რომლებიც წინასწარ უნდა გაეცნოთ მოსწავლეებს გამოცდების დაწყებამდე.

13. VII კლასის მოსწავლეებს, რომელთაც არადამაკმაყოფილებელი შეფასება აქვთ ერთ ან ორ საგანში, ეძლევათ საშემოდგომო გამოცდა.

14. VII კლასის მოსწავლეები, რომლებიც არადამაკმაყოფილებელ ნიშანს მიიღებენ სამ და მეტ საგანში, კურსის განმეორებით გასავლელად რჩებიან იმავე კლასში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშემოდგომო წერითი გამოცდები VII კლასში ჩატარდება:

ა) მშობლიურ ენაში-21 ოქტომბერს;

ბ) რუსულ ენაში (არარუსულ სკოლაში)-24 ოქტომბერს;

გ) ალგებრაში-არითმეტიკით-28 ოქტომბერს.

## გამოცდები სიმწიფის ატესტატზე

15. XI კლასში გამოცდები იწყება 10 აპრილს და მთავრდება 30 აპრილს. სიმწიფის ატესტატზე გამოცდები ტარდება შემდეგ საგნებში:

1. მშობლიურ ლიტერატურაში (წერითი);
2. რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერითი);
3. ალგებრაში (ზეპირი);
4. გეომეტრიაში (ზეპირი);
5. ფიზიკაში (ზეპირი);
6. ქიმიაში (ზეპირი);
7. სსრ კავშირის ისტორიაში (ზეპირი);
8. უცხო ენაში (ზეპირი).

## წერითი გამოცდები ტარდება:

ა) მშობლიურ ლიტერატურაში-10 აპრილს;

ბ) რუსულ ენასა და ლიტერატუოაში (არარუსულ სკოლებში) 20 აპრილს.

16. საგამოცდო კომისიის შემადგენლობას სოფლის ახალგაზრდობის თვითეული საშუალო სკოლისათვის ამტკიცებს რაიონის განათლების განყოფილება გამოცდების დაწყებამდე ერთი თვით ადრე.

17. წერითი სამუშაო XI კლასებში მშობლიურ ლიტერატურაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში (არარუსულ სკოლებში) სრულდება განათლების განყოფილების მიერ შტამპდასმულ სპეციალურ ქაღალდზე. ამ მიზნისათვის განკუთვნილ ქაღალდს ასსრ განათლების სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების განათლების განყოფილებების წარმომადგენლები პირადად სათანადო მინდობილობების საფუძველზე მიიღებენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში 20 მარტიდან 2 აპრილამდე.

18. საგამოცდო თემებს თხზულებისათვის მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ლიტერატურაში (არარუსულ სკოლებში) XI კლასისათვის ადგენს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

19. წერითი სამუშაოს შესასრულებლად, იმ დროის ჩათვლით, რაც საჭიროა მისი სუფთად გადაწერისათვის, მოსწავლეებს თანმიყოლებით ეძლევათ მშობლიურ ლიტერატურაში-6 და რუსულ ლიტერატურაში (არარუსულ სკოლებში)-4 ასტრონომიული საათი.

20. საგამოცდო კომისის მიერ შემოწმებულ და საბოლოოდ შეფასებულ XI კლასის მოსწავლეთა ყველა წერით ნამუშევარს, როგორც გადათეთრებულს, ისე შავად შესრულებულს, გამოუყენებელ საწერ ქაღალდთან ერთად, სკოლის დირექტორი მთლიანად სიითა და თვლით, აბარებს განათლების განყოფილების გამგეს.

21. XI კლასის მოსწავლეები, რომელთაც ავადმყოფობის გამო არ შეუძლიათ გასვლა სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩასაბარებლად, გამოცდებზე დაიშვებიან შემდეგ წელს, საერთო წესის მიხედვით, იმ მოსწავლეებთან ერთად, რომელნიც ამ წელს ამთავრებენ სკოლას. ეს მოსწავლეები და აგრეთვე ისინი, რომელთაც ხანგრძლივი (არანაკლებ 30 დღისა) და მძიმე ავადმყოფობის გამო ვერ მოიპოვეს სიმწიფის ატესტატის მისაღებ გამოცდებზე გასვლის უფლება, შეიძლება დატოვებულ იქნენ XI კლასში კურსის განმეორებით გასავლელად.

**შენიშვნა:** მოსწავლის ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იყოს სათანადო სამკურნალო დაწესებულებების მიერ.

22. XI კლასში მოსწავლის დატოვების საკითხს სკოლის პედაგოგიური საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, წყვეტს განათლების განყოფილება.

გამონაკლის შემთხვევაში, მოსწავლეები, რომლებიც მძიმე, ხანგრძლივი ავადმყოფობის გამო ვერ შეძლებენ სიმწიფის ატესტატზე ყველა გამოცდა ან ნაწილი ჩააბარონ, შეიძლება განთავისუფლებულ იქნენ გამოცდებისაგან იმ პირობით, თუ ამ მოსწავლეებს წლის I და II ნახევრებში სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა საგანში ჰქონდათ შეფასება არა ნაკლებ „3“-სა. ასეთ შემთხვევაში სიმწიფის ატესტატი უნდა გაიცეს წლიური შეფასების (ნიშნების) საფუძველზე.

მოსწავლეები გამოცდებიდან თავისუფლდებიან განათლების განყოფილებათა გამგეებმს მიერ სკოლების დირექტორების წარდგენით.

შუამდგომლობები მოსწავლის გამოცდებისაგან მთლიანად განთავისუფლების შესახებ განათლების ორგანოებში წარდგენილი უნდა იქნეს არა უგვიანეს 5 აპრილსა. თუ იგი 5 აპრილიდან გამოცდების დაწყებამდე გახდება ავად-20 აპრილამდე, ხოლო იმ შემთხვევაში როდესაც მოსწავლე გამოცდების პერიოდში გახდა ავად — 30 აპრილამდე.

ამ ვადების შემდეგ წარდგენილი შუამდგომლობები განათლების განყოფილების მიერ განხილული არ იქნება და მასალების დაგვიანებით წარდგევისათვის პასუხისმგებლობა დაეკისრება სკოლის დირექტორს.

შუამდგომლობასთან ერთად საჭიროა შემდეგი დოკუმენტების წარდგენა:

ა) სამკურნალო დაწესებულების საექიმო კომისიის დასკვნა:

ბ) სკოლის პედაგოგიური საბჭოს დადგენილების ასლი და მოსწავლის დახასიათება;

გ) სასწავლო წლის I და II ნახევრის ნიშნები XI კლასის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა საგანში და შეფასება იმ საგნებში, რომლებიც არასაგამოცდოა, მაგრამ სიმწიფის ატესტატში უნდა იქნეს შეტანილი;

დ) წერითსა და ზეპირ გამოცდებზე მოსწავლის მიერ მიღებული ყველა შეფასება (იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლე გამოცდების პერიოდში გახდა ავად).

სიმწიფის ატესტატში შესატანი საბოლოო შეფასებები და „ბ“, „გ“, „დ“ პუნქტებში აღნიშნული საბუთები შემოწმებული უნდა იყოს დირექტორის ხელის მოწერითა და ბეჭდის დასმით.

23. მოსწავლეებს, რომლებიც გამოცდების პერიოდში ავად გახდებიან და გამოცდების დამთავრებამდე გამოჯანმრთელდებიან, საგამოცდო კომისიის ნებართვით შეუძლიათ ჩააბარონ როგორც დარჩენილი, ასევე გამოტოვებული ყველა გამოცდა.

ამ მოსწავლეებთან წერითი გამოცდების ჩასატარებლად საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო სპეციალური სათადარიგო პაკეტით აგზავნის დამატებით თემებს მშობლიურ ლიტერატურაში და რუსულ ენასა და ლიტერატურაში.

სათადარიგო პაკეტი წელს უნდა გაიხსნას: მშობლიურ ლიტერატურაში 21 აპრილს, ხოლო რუსულ ლიტერტურაშია (არარუსულ სკოლებში)-28 აპრილს..

24. ზეპირი გამოცდები XI კლასში ტარდება საქართველოს

სსრ განათლების სამინისტროს მიერ შედგენილი ბილეთებით, რომლებიც წინასწარ უნდა გაეცნოთ მოსწავლეებს, გამოცდებისადმი ბამდე.

25. XI კლასების მოსწავლეებს, რომლებიც სიმწიფის ატესტატის მისაღებ გამოცდებზე მიიღებენ არადამაკმაყოფილებელ შეფასებას ერთ ან ორ საგანში, უფლება ეძლევათ განმეორებით ჩააბარონ გამოცდები ამ საგნებში შემოდგომაზე.

**შენიშვნა:** მოსწავლეები, რომელთაც აქვთ წლიური არადამაკმაყოფილებელი ნიშანი ალგებრაში ან გეომეტრიაში, გაზაფხულზე გამოცდებზე არ დაიშვებიან იმ საგანში, რომელშიც არადამაკმაყოფილებელი შეფასება აქვთ. ამ საგანში ისინი გამოცდას ჩააბარებენ შემოდგომაზე. ამავე დროს მოსწავლეები გამოცდას აბარებენ იმ არასაგამოცდო საგნებში, რომლებშიც მათ წლიური შეფასება არადამაკმაყოფილებელი აქვთ.

სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელი საშემოდგომო გამოცდები ტარდება 20-დან 3 ოქტომბრამდე.

საშემოდგომო გამოცდას სიმწიფის ატესტატზე XI კლასის მოსწავლეები აბარებენ იმავე კომისიას, რომელიც დამტკიცებულია განათლების განყოფილების მიერ სიმწიფის ატესტატზე გამოცდების ჩასატარებლად.

**საშემოდგომო წერითი გამოცდები ტარდება:**

ა) მშობლიურ ლიტერატურაში-20 ოქტომბერს;

ბ) რუსულ ენასა და ლიტერატურაში (არარუსულ სკოლებში) —24 ოქტომბერს.

საშემოდგომო წერითი გამოცდებისათვის თემები იგზავნება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ.

საშემოდგომო გამოცდები ტარდება საგაზაფხულო გამოცდებისათვის დადგენილი წესის ზუსტი დაცვით.

სკოლების სამმართველოს მუშა და სოფლის
ახალგაზრდობის განყოფილების უფროსი

**ი. რ. კანდელაკი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

## № 160

1959 წლის 20 თებერვალი

### თელავისა და გურჯაანის რაიონების სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

აღვნიშნავ, რომ თელავისა და გურჯანის რაიონების სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლებში არ ტარდება საკმაო მუშაობა იმ ამოცანების გადასაჭრელად, რომლებსაც ამ ტიპის სკოლებს აკისრებს „კანონი ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“.

მიმდინარე სასწავლო წელს შესრულდა სკოლებისა და კლასების გახსნის სახალხო-სამეურნეო გეგმა, მაგრამ მათში მოსწავლეთა გეგმით გათვალისწინებულზე გაცილებით ნაკლები რაოდენობაა ჩაბმული. ასე, მაგალითად, თელავის რაიონში, ნაცვლად 19 კლასისა 310 მოსწავლით, მუშაობს 20 კლასი, რომელშიც 296 ახალგაზრდა სწავლობს.

არასაკმაო აღმზრდელობითი მუშაობა ტარდება სწავლებაში ჩაბმული კონტინგენტის შესანარჩუნებლად. თელავის რაიონის წინანდლის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის 48 მოსწავლიდან სწავლას ჩამოშორდა 14 მოსწავლე.

ხშირია მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევები: ა/წლის 8 იანვარს წინანდლის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის V კლასის 8 მოსწავლიდან მეცადინეობას ესწრებოდა მხოლოდ ერთი, VI კლასის 12 მოსწავლიდან-4 და ა. შ. ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი სხვა სკოლებშიც.

სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლებს თითქმის სრულიად არა აქვთ საკუთარი სასწავლო-მატერიალური ბაზა. კარიფანეხის საშუალო სკოლას მხოლოდ ერთი მაგიდა აქვს. საკლასო ოთახების ფანჯრები ჩამტვრეულია, რის გამოც შეუძლებელი ხდება ნორმალური სასწავლო მუშაობის ჩატარება. სკოლები უზრუნველყოფილი არ არიან სათანადო პედაგოგიური სტაჟისა და გამოცდილების მქონე კადრებით. წინანდლის სკოლის დირექტორად მუშაობს ტ. არჩუაშვილი, რომელსაც სრულიად არ აქვს ადმინისტრაციულ-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება; ამ სკოლის 12 მასწავლებლიდან 7 უმაღლესდაუმთავრებელია. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ნაფარეულის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლაში.

აღნიშნული სკოლების ხელმძღვანელები და პედაგოგიური კოლექტივები არ ითვალისწინებენ სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მუშაობის პირობებს, საქმიან კავშირს არ ამყარებენ კოლმეურნეობებისა და წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებთან. სკოლის წლიური, კლასის ხელმძღვანელთა ნახევარწლიური და გაკვეთილების გეგმები მოუფიქრებლად არის შედგენილი.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ პედაგოგიური საბჭოები. საკითხები ზერელედ არის განხილული და მიღებული დადგენილებები არაფრის მთქმელია. სკოლებს არა აქვთ პედსაბჭოს სხდომების ზონარგაყრილი და განათლების განყოფილების მიერ დალუქული საოქმო წიგნები.

მოუგვარებელია სასკოლო დოკუმენტაცია.

სერიოზული ნაკლოვანებანია ცალკეული საგნების სწავლების საქმეში, რის გამოც მოსწავლეთა დიდ ნაწილს არა აქვს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ცოდნა.

სუსტად მუშაობს გურჯაანის რაიონის ვაზისუბნის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი გ. სოლომნიშვილი. იგი არ მუშაობს საკუთარი კვალიფიკაციის ასამაღლებლად. არადამაკმაყოფილებლად ემზადება გაკვეთილისათვის, არ ატარებს საშინაო წერას, არასაკმაო ყურადღებით ასწორებს მოსწავლეთა საკონტროლო წერით ნამუშევრებს, რის გამოც დაბალია მოსწავლეთა მომზადება.

სუსტად მუშაობს აგრეთვე თელავის რაიონის წინანდლის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი თ. ვეფხვიშვილი.

მოუთმენლად სუსტად მუშაობს თელავის რაიონის ნაფარეულის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის VIII კლასის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი გ. კობიაშვილი. მასწავლებელმა არადამაკმაყოფილებლად იცის რუსული ენა. მეტყველების დროს უშვებს შეცდომებს, სუსტად ემზადება გაკვეთილისათვის, შემოწმების დღისათვის მას გაკვეთილის გეგმა არ აღმოაჩნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თელავის რაიონის ნაფარეულის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის X დ XI კლასების მოსწავლეები ძლიერ დაბალ მომზადებას იჩენენ მათემატიკაში (მასწავლებელი გ. გუკასოვი). X კლასის მოსწავლეებმა ვერ განსაზღვრეს წრე, წრეხაზი, სექტორი და სეგმენტი. არ იცოდნენ სექტორისა და სეგმენტის ფართობი. XI კლასის მოსწავლეებმა ვერ დახაზეს პარალელეპიპედის დიაგონალური კვეთა და ტოლფერდა ტრაპეცია.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება მათემატიკა აგრეთვე წინანდლის სოფლის ახალგაზრდობის სკოლის IX კლასში (მასწავლებელი ს. მღებრიშვილი).

გურჯაანის რაიონის ვაზისუბნისა და კარდანახის სოფლის ახალგაზრდობის სკოლების მოსწავლეებმა დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს გეოგრაფიაში (მასწავლებელი ნ. არაქელოვი და თ. მჭედიშვილი). მათ არ იციან რუკის კითხვა, პირობითი ნიშნები და საერთოდ სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული საკითხები. მასწავლებლებლები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ თავიანთ თავზე, გულმოდგინედ არ ემზადებიან გაკვეთილისათვის, რის გამოც გაკვეთილზე უშვებენ შეცდომებს.

თელავისა და გურჯაანის რაიონების სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ნაკლოვანებათა არსებობის მიზეზი ისიც არის, რომ დაბალ დონეზე დგას შინასასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა. წინანდლის სკოლის დირექტორს ტ. არჩუაშვილს მიმდინარე სასწავლო წელს არც ერთი გაკვეთილი არ მოუსმენია. კარდანახის სკოლის დირექტორ ნ. ელისაშვილის სასწავლო დატვირთვა 16 საათია რაც მას ართმევს მასწავლებელთა გაკვეთილებზე დასწრების საშუალებას.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. თელავისა და გურჯანის რაიონების განათლების განყოფილებებმა (ალ. ნადაშვილმა და ა.ქავთარაძემ):

ა) გადაჭრით გააძლიერონ სოფლის ახალგაზრდობის სკოლებისადმი დახმარება. ხელმძღვანელობა და კონტროლი: შეისწავლონ

საკითხი ამ ტიპის სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში გახადონ ეცნ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების მსჯელობის საგნად;

ბ) ა/წ 20 მარტამდე გადასინჯონ სოფლის ახალგაზრდობის სკოლების კადრების შემადგენლობა და გაატარონ შესაფერისი ღონისძიებანი მის გასაუმჯობესებლად;

გ) უზრუნველყონ მტკიცე, საქმიანი კავშირის დამყარება კოლმეურნეობებთან და წარმოება-დაწესებულებებთან

2. სკოლების დირექტორებმა:

ა) ცალკეული საგნების მასწავლებელთა გაკვეთილებზე სისტემატურ დასწრებით, მათი ღრმა პედაგოგიურ-მეთოდიკური ანალიზით და შესაბამის ღონისძიებათა გატარებით, უზრუნველყონ მეცნიერებათა საფუძვლების სწავლების მკვეთრი გაუმჯობესება. ბოლო მოუღონ შინასასკოლო კონტროლის და დახმარების შეუფასებლობის დღემდე არსებულ მავნე პრაქტიკას;

ბ) იზრუნონ სკოლაში მეთოდური მუშაობის ფართოდ გაშლისა და მასწავლებელთა პედაგოგიურ-მეცნიერული კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;

გ) მტკიცედ გაითვალისწინონ ამ ტიპის სკოლების მუშაობის თავისებურებანი სკოლის წლიური, კლასის ხელმძღვანელთა ნახევარწლიური და გაკვეთილების გეგმების შედგენისას;

დ) გულდასმით მოამზადონ პედაგოგიური საბჭოების სხდომები, წინასწარ, ყოველმხრივ შეისწავლონ განსახილველი საკითხები და შემჩნეულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ გაატარონ კონკრეტული ღონისძიებანი;

ე) ა/წ 25 თებერვლამდე უზრუნველყონ სასკოლო დოკუმენტაციის წესრიგში მოყვანა;

ვ) არ დაუშვან საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1957 წლის 5 ოქტომბრის მითითებათა დარღვევა სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში მოსწავლეთა მიღების შესახებ;

ზ) დაუყოვნებლივ გააუმჯობესონ აღმზრდელობითი მუშაობა მოსწავლე ახალგაზრდობას შორის. უზრუნველყონ სოფლის პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ ორგანიზაციებთან, კოლმეურნეობებთან და წარმოება-დაწესებულებებთან მტკიცე კავშირის დამყარება და მიაღწიონ მოსწავლეთა მიერ გაკვეთილების არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევათა მინიმუმამდე დაყვანას.

3. მასწავლებლებმა იზრუნონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის. თავიანთ თავზე სისტემატური, ბეჯითი, გულმოდგინე მუშაობით, სწავლებაში თვალსაჩინოების მტკიცედ დანერგვით, უზრუნველყონ გაკვეთილების მაღალ პედაგოგიურ-მეთოდურ დონეზე ჩატარდება და მიაღწიონ მოსწავლეთა ცოდნის დონის მკვეთრ ამაღლებას.

4. თელავის რაიონის განათლების განყოფილებამ (ამხ. ალ. ნადაშვილი) სათანადო ხელმძღვანელობა და მეთოდური დახმარება გაუწიოს ნაფარეულის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის რუსული ენის ახალგაზრდა მასწავლებელს გ. კობიაშვილს.

5. საგნის სწავლების არადამაკმაყოფილებლად დაყენების გამო, მიეთითოთ მასწავლებლებს: ქართულ ენასა და ლიტერატურაში -გ. სოლომნიშვილს (ვაზისუბნის სკოლა), მათემატიკაში-გ. გუკასოვს (ნაფარეულის სკოლა), ს. მღებრიშვილს (წინანდლის სკოლა), გეოგრაფიაში-ს. არაქელოვს (ვაზისუბნის სკოლა) და თ. მჭედლიშვილის (კარდანახის სკოლა).

6. სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობისა და საგნის სწავლების დაბალ დონეზე დაყენებისათვის თელავის რაიონის წინანდლის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის დირექტორს ტ. არჩუაშვილს გამოეცხადოს სასტიკი საყვედური.

7. სკოლის სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე სუსტი ხელმძღვანელობის გამო, გურჯანის რაიონის კარდანახის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლის დირექტორს ნ. ელისაშვილს გამოეცხადოს საყვედური და ჩამოერთვას ოთხი საათი.

8. სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე არასაკმაო კონტროლისა და დახმარების გამო თელავის რაიონის ნაფარეულის და გურჯანის რაიონის ვაზისუბნის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლების დირექტორებს გ. აივაზოვს და ლ. ძამაშვილს მიეთითოთ.

9. თელავის და გურჯანის რაიონების განათლების განყოფილებებმა ა/წ 10 აპრილისათვის განათლების სამინისტროს წარმოუდგინონ ანგარიში ამ ბრძანების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

10. ეს ბრძანება პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე განსახი-

ლველად და სათანადო ღონისძიებათა გასატარებლად დაეგზავნოთ რესპუბლიკის სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1959 წლის 14 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი **გ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

## № 163

1959 წლის 20 თებერვალი

### სკოლებში საგაზაფხულო არდადეგების ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სსრ დაწყებითს, შვიდწლიანსა და საშუალო სკოლებში და სკოლა-ინტერნატებში საგაზაფხულო არდადეგები ჩატარდეს 1959 წლის 26 მარტიდან 4 აპრილამდე ჩათვლით. მეცადინეობა შეწყდეს ოთხშაბათს, 25 მარტს გაკვეთილების შემდეგ და განახლდეს 6 აპრილს, ორშაბათს.

2. სკოლების დირექტორებმა (გამგეებმა):

ა) 27 მარტისათვის შეაჯამონ სასწავლო წლის III მეოთხედის შედეგები, ღრმა ანალიზი გაუკეთონ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში შემჩნეულ ნაკლოვანებებს და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი მათ გამოსასწორებლად. ღონისძიებები უნდა დაისახოს ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ მიღებული კანონის შუქზე;

ბ) 28-30 მარტს ჩაატარონ მშობელთა კრებები, გააცნონ მათ მოსწავლეთა მოსწრების შედეგები და დასახონ ერთობლივი ღონისძიებანი მოსწავლეთა ყოფაქცევისა და წარმატების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. ამ კრებებზე კლასის ხელმძღვანელებმა მშობლებს დაურიგონ მოსწავლეთა ყოფაქცევისა და წარმატების მოწმობები;

გ) გაშალონ სათანადო მუშაობა გამოსაშვები და სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდებისა და სასწავლო წლის წარმატებით დამთავრებისათვის მოსამზადებლად;

დ) გასული სასწავლო წლის X და XI კლასების მოსწავლეები, რომლებიც არ იყენენ გამოცდებზე დაშვებული სამ და მეტ საგანში

არადამაკმაყოფილებელი წლიური შეფასების გამო, გააფრთხილონ იმის შესახებ, რომ მათ არ მოეთხოვებათ ამ საგნებში გამოცდების წინასწარ ჩაბარება;

ე) განუმარტონ X კლასების მოსწავლეებს, რომ გასული სასწავლო წლიდან გაუქმებულია უფრო მაღალი შეფასების მიღების მიზნით განმეორებით გამოცდებზე იმ მოსწავლეთა დაშვების უფლება, რომლებსაც სიმწიფის ატესტატში შესატან არასაგამოცდო საგნებში აქვთ შეფასება „3“ ან „4“.

3. სკოლებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების ხელმძღვანელებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მოსწავლეთა კულტურული გართობისა და გონივრული დასვენების ორგანიზაციის საქმეს. ამ მიზნით:

ა) მოაწყონ ბავშვთა მხატვრული თვითშემოქმედების დილა-საღამოები ინსცენირებებით, მხატვრული კითხვით, ბავშვთა გუნდებისა და ინდივიდუალურ შემსრულებელთა გამოსვლით;

ბ) მოაწყონ ექსკურსიები ახლომდებარე მუზეუმებსა და ღირსშესანიშნავ ისტორიულ ადგილებში;

გ) სანახაობათა (თეატრი, კინო) დაწესებულებების ხელმძღვანელებთან წინასწარი შეთანხმებით მოაწყონ კოლექტიური დასწრება საბავშვო კინოსურათებსა და სპექტაკლებზე. ამ საქმეზე გააპიროვნონ სათანადო კლასების ხელმძღვანელები.

4. სკოლებში, სადაც ყველა პირობა არსებობს კინოფილმების დემონსტრირებისათვის, მოეწყოს საბავშვო კინო-სეანსები.

5. ჩატარდეს მოსწავლეთა შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეში რაიონული (საქალაქო) კალენდრის მიხედვით.

6. სკოლების ექიმების ხელმძღვანელობით ჩატარდეს როგორც საკლასო ოთახების, სახელოსნოების დეზინფექცია, ისე სასკოლო შენობისა და სკოლის კარმიდამოს დასუფთავება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **მ. ბურჭულაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე
**მ. ბურჭულაძე**

1959 წლის 28 თებერვალი.

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## სკოლის მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელის შესახებ

### I. გუნდის ხელმძღვანელის უფლება-მოვალეობანი

I. სკოლის მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელი ვალდებულია:

ა) აღრიცხვაზე აიყვანოს მუსიკალური მონაცემებით დაჯილდოვებული მოსწავლეები, შექმნას მათგან გუნდი, დაუხვეწოს გუნდში გაერთიანებულ მოსწავლეებს მუსიკალური გემოვნება, სწორ ნიადაგზე დააყენოს მათი მუსიკალური განვითარების საქმე და იზრუნოს ბავშვთა მუსიკალური და ვოკალური მონაცემების განვითარებისათვის;

ბ) შეარჩიოს და გაამდიდროს მოსწავლეთა სასიმღერო რეპერტუარი, შეაყვაროს მათ ქართული და მოძმე რესპუბლიკების ხალხური და კლასიკური მუსიკა, გააცნოს საზღვარგარეთის ხალხთა სიმღერები და კლასიკოსთა ნაწარმოებები;

გ) შეაჩვიოს მოსწავლეები თავისი ხმისადმი ფაქიზად მოპყრობას, დირიჟორთან მუშაობას, შესრულების კულტურას;

დ) მეთოდური ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიოს I — VI კლასებში მომუშავე სიმღერის მასწავლებლებს.

2. გუნდის ხელმძღვანელად ინიშნება კვალიფიციური უმაღლესი (უფროსი ასაკის მოსწავლეებთან) ან სპეციალური საშუალო განათლების მქონე პირი (კონსერვატორიის, მუსიკალური სასწავლებლის ან მუსიკალური ათწლედის განათლებით).

## II. გუნდის ორგანიზაცია

1. მომღერალთა გუნდის დაკომპლექტება ხდება ბავშვთა ასაკის მიხედვით, მათი მუსიკალურ-ვოკალური მონაცემების გათვალისწინებით (სმენა, რიტმი, მეხსიერება, ხმა, დიაპაზონი).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ხმების გასინჯვის დროს კონტროლი უნდა გაეწიოს ხმის ტემბრს, ეტყობა თუ არა მუტაციის (გარდატეხის) პერიოდი, ან ხმას ხომ არ დასდევს შრიალი, ბზარი და სხვ.

2. გუნდის ჩამოყალიბების დროს ბავშვები შემდეგნაირად ნაწილდებიან:

ა) ოქტომბრელთა და უმცროსი ასაკის პიონერთა გუნდი, აქ ერთიანდებიან პირველი და მეოთხე კლასების მოსწავლეები. მუშაობა წარმოებს ერთ და ორხმიან სიმღერებზე;

ბ) პიონერთა გუნდი. — ერთიანდებიან მეხუთე — მეშვიდე კლასების მოსწავლეები მუშაობა წარმოებს ერთ და ორხმიან სიმღერებზე;

გ) უფროსი ასაკის მოსწავლეთა გუნდი. ამ გუნდში ერთიანდებიან მერვე — მეათე კლასების მოსწავლეები. მუშაობა წარმოებს ერთ, ორ და სამხმიან სიმღერებზე.

3. გუნდს საერთო ხელმძღვანელობას უწევს სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, რომელიც თვალყურს ადევნებს გუნდის მეცადინეობის მიმდინარეობას, დისციპლინას, მოსწავლეთა დახმარებას და საჭიროების შემთხვევაში იღებს სათანადო ზომებს.

## III. გუნდის ხელმძღვანელის შრომის ანაზღაურება

1. ერთ საგუნდო ჯგუფად ითვლება 40 მოსწავლე.

2. თუ გუნდი ერთი ჯგუფისაგან შედგება, გუნდის ხელმძღვანელი მეცადინეობას ატარებს კვირაში ორჯერ. თითოეული მეცადინეობის ხანგრძლიობა უდრის ორ აკადემიურ საათს, კვირეული დატვირთვა — 4 აკადემიურ საათს.

3. თუ გუნდი ორ ჯგუფისაგან შედგება, გუნდის ხელმძღვანელის კვირეული დატვირთვა შეადგენს 8 აკადემიურ საათს.

4. თუ გუნდი შედგება სამი ჯგუფისაგან, გუნდის ხელმძღვანელის კვირეული დატვირთვა შეადგენს 12 აკადემიურ საათს.

5. რეპერტუარის შერჩევა-დამუშავების, სარეპეტიციო მუშაობის, კონცერტებზე მონაწილეობის, სოლისტებთან მუშაობის, სიმღერის მასწავლებლებთან მეთოდური მუშაობისათვის და სხვ. გუნ

დის ხელმძღვანელს დამატებით ეწერება 4 აკადემიური საათი. ხელ-
ლო საერთო სასკოლო გუნდთან მუშაობისათვის — 2 აკადემიური
საათი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: სკოლაში უნდა იყოს არანაკლებ 3 ჯგუფისა.

6. გუნდის ხელმძღვანელებს ხელფასი ეძლევათ VIII — X კლასების მეორე ჯგუფის საგნების მასწავლებელთათვის დაწესებული განაკვეთების მიხედვით, განათლებისა და პედაგოგიური მუშაობის სტაჟის შესაბამისად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

## № 183

1959 წლის 28 თებერვალი

### სამგორის რაიონის ნორიოს საბავშვო სახლის თაოსნობის შესახებ

აღვნიშნავ, რომ სამგორის რაიონის ნორიოს საბავშვო სახლის ადმინისტრაციამ, პარტიულმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა და ბავშვთა ორგანიზაციებმა ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების საპასუხოდ გადაწყვიტეს საბავშვო სახლის დამხმარე მეურნეობაში დანერგონ აღსაზრდელთა შრომა და მიღებული პროდუქტები გამოიყენონ ბავშვთა კვების გასაუმჯობესებლად. ნორიოელები ამასთან დაკავშირებით კისრულობენ გარკვეულ ვალდებულებებს და მოუწოდებენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების აღსაზრდელებსა და თანამშრომლებს მიბაძონ მათ მაგალითს.

ნორიოელთა ინიციატივა მოიწონა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლების და სპეცსკოლა-ინტერნატების დირექტორების 1959 წლის 26 თებერვლის რესპუბლიკურმა თათბირმა.

ვიწონებ რა ნორიოს საბავშვო სახლის კოლექტივის ღირსშესანიშნავ თაოსნობას.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა კოლეგიებისა და სახალხო განათლების საბჭოების სხდომებზე განიხილონ ნორიოს საბავშვო

სახლის აღსაზრდელთა და თანამშრომელთა მოწოდება და ხელი შეუწყონ სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების დამხმარე მეურნეობებს მეცხოველეობის განვითარების საქმეში.

2. ფართოდ გააცნონ რაიონის, ქალაქის მშრომელებს და ორგანიზაციებს ნორიოელთა თაოსნობა. სათავეში ჩაუდგნენ ამ ღონისძიებისადმი სათანადო ორგანიზაციების გამოხმაურებას.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დაახმარე წარმოებათა და კაპიტალური მშენებლობის განყოფილებებმა (ამხ. ამხ. ს. არველაძე და ა. ღადუა) ხელი შეუწყონ და დახმარება გაუწიონ სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების საქმეში.

4. გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქციამ გაზეთის უახლოეს ნომერში გამოაქვეყნოს ნორიოელთა მიმართვა, სისტემატურად გააშუქოს მოწოდებაზე გამოხმაურება და ამ მოწოდების საპასუხოდ ნაკისრ სამუშაოთა მიმდინარეობა.

5. სკოლების სამმართველომ (ამხ. გ. საყვარელიძე) და საბავშვო სახლების, სპეცსკოლებისა და სკოლამდელ დაწესებულებათა განყოფილებამ (ამხ. ვ. ჩინჩალაძე) ადგილებზე მივლინებულ მუშაკებს დაავალონ განახორციელონ სათანადო კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე.

**სბფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1959 წლის 27 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის

მოადგილე **მ. ბურჭულაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბრძანება

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსადმი

## № 205

1959 წლის 6 მარტი

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების შესწავლის შესახებ**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობა—მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა. ყრილობამ შეაჯამა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის მიერ მოპოვებულ შესანიშნავ გამარჯვებათა შედეგები.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებასა და ყრილობის გადაწყეტილებებში მოცემულია კომუნიზმის საქმის გამარჯვების ღრმა რწმენით გამსჭვალული ჩვენი პარტიის და ხალხის საქმიანობის ფართო პროგრამა. ახლა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მომხდარი უღრმესი გარდაქმნების შედეგად, სოციალიზმის გამარჯვების საფუძველზე ჩვენი ქვეყანა შევიდა თავისი განვითარების ახალ პერიოდში — კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში.

პარტიის XXI ყრილობის ისტორიული გადაწყეტილებები ავალებს სკოლის მუშაკებს კიდევ უფრო აამაღლონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, მთელი თავისი საქმიანობა წარმართონ მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის წარმატებით განსახორციელებლად.

სკკპ XXI ყრილობის რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ „საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მოზარდი თაობის კომუნისტურ აღზრდას. პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ ყველა იმ ღონისძიების განუხრელად განხორ-

ციელება, რომლებიც დაკავშირებულია საშუალო და უმაღლესი სკოლის გარდაქმნასთან, უნდა მიაღწიონ იმას, რომ საბჭოთა სკოლა წარმოებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან სწავლების მჭიდროდ დაკავშირებით ამზადებდეს ყოველმხრივ განათლებულ და შეგნებულ მოქალაქეებს, უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტებს".

სკოლებში სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველყოფის მიზნით.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა, რაიონების, ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, სკოლების, სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა (გამგეებმა) მთელ თავიანთ მუშაობას საფუძვლად დაუდვან სკკპ XXI ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები; ყველა მასწავლებლის მუშაობა წარმართონ გაკვეთილის იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისა და სკოლებში მთელი აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისაკენ.

2. მიმდინარე სასწავლო წელს X კლასებში შემოღებულ იქნას სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების შესწავლა.

3. დამტკიცდეს რიგგარეშე XXI ყრილობის მასალების თემატიკა (თან ერთვის).

ამ მასალის შესწავლას დაეთმოს სსრ კავშირის ისტორიის კურსის გამეორებისათვის განკუთვნილი დრო. ამასთან დაკავშირებით ისტორიის ყველა გაკვეთილზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სსრ კავშირის ისტორიის მასალის გამეორებას.

4. მასწავლებლებმა ნათლად და მისაწვდომად განუმარტონ მოსწავლეებს ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა და ამ მოხსენების გამო მიღებული რეზოლუციის ძირითადი შინაარსი და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959—65 წლების საკონტროლო ციფრები.

5. სსრ კავშირის ეკონომიური გეოგრაფიის, ფიზიკის ქიმიისა და სხვა საგნების სწავლებისას გამოყენებულ იქნას მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტექნიკის უმნიშვნელოვანესი დარგების განვითარების შვიდწლიანი გეგმის ძირითადი მონაცემები.

6. V—IX კლასებში კლასგარეშე მუშაობის წესით მოსწავლეთათვის გასაგებ ფორმებში ჩატარდეს კომუნისტური პარტიის,

ნორჩ თაობაზე პარტიისა და მთავრობის ზრუნვის, შვიდწლიდან საბჭოთა სკოლის განვითარებისადმი მიძღვნილი მოხსენებები, საუბრები, ყრილობის დელეგატებთან შეხვედრები, პიონერული ბანერები, დილები, პიონერული კოცონი.

7. პროფკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად და ადგილობრივი პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით უზრუნველყოფილ იქნას სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობის მასალების ღრმად შესწავლა მასწავლებლების მიერ.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი

**გ. ნ. ჯიბლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ᲓᲐᲛᲐᲡᲬᲔᲑᲐ

**საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1959 წლის**

**6 მარტის ბრძანება № 205-ზე**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა და მასალების შესწავლის თემატიკა.

თემა I. საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვებები — 2 საათი.

თემა II. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის მთავარი ამოცანები—2 საათი.

თემა III. კაპიტალიზმთან სოციალიზმის შეჯიბრების გადამწყეტი ეტაპი და თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა — 2 საათი.

თემა IV. კომუნისტური მშენებლობის ახალი ეტაპი და მარქსისტულ-ლენინური თეორიის ზოგიერთი საკითხი—2 საათი.

თემა V. კომუნისტური პარტია—საბჭოთა ხალხის ხელმძღვანელი და მაორგანიზებელი ძალა, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში — 2 საათი.

## ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ

1. ნ. ს. ხრუშჩოვი — „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959—1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ“, მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობაზე 1959 წლის 27 იანვარს. საბოლოო სიტყვა.

2. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის რეზოლუცია ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959 — 1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ“.

3. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959—1965 წლების საკონტროლო ციფრები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შ ი ნ ა ა რ ს ი


| | | |
|---|---|---|
| | | გვ. |
| 1. | ბრძანება № 69—საწარმოო ჩვევების შეძენისა და პროფესიის დაუფლებისათვის ქ. თბილისის ზოგიერთი სკოლის უფროსი კლასების მოსწავლეების წარმოებებზე მიმაგრების შესახებ | 3 |
| 2. | დადგენილება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა | 5 |
| 3. | დებულება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიური ინსტიტუტების რესპუბლიკური კონკურსის შესახებ სტუდენტთა ყოფაცხოვრების, შრომისა და დასვენების საუკეთესო ორგანიზაციისათვის | 7 |
| 4. | ბრძანება № 156/კ—გაგრის რაიონის ხეივნის 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორის ნ. ი. გოგოლის მიერ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში შეტანილი საჩივრის შემოწმების შედეგების შესახებ | 12 |
| 5. | ბრძანება № 110—მეაბრეშუმეობის განვითარების საქმეში სამტრედიის პირველი საშუალო სკოლის ინიციატივის შესახებ | 17 |
| 6. | ბრძანება № 121—პედაგოგიური ინსტიტუტებისა და სასწავლებლების სამმართველოსა და საგეგმო—საფინანსო სამმართველოში მშრომელთა საჩივრების და განცხადებების განხილვის მდგომარეობის შესახებ | 18 |
| 7. | ბრძანება № 123—1958 წელს ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე განაწილებისა და მათი სამუშაოზე გამოცხადების მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ | 22 |
| 8. | ბრძანება № 128—სიღნაღის, ყვარლის, ჩხოროწყუსა და წალენჯიხის რაიონების ზოგიერთ სკოლაში სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ | 26 |
| 9. | ბრძანება № 133—1958 წლის კაპიტალური მშენებლობის გეგმის შესრულების შესახებ | 37 |
| 10. | მიმართვა № 176 | 40 |
| 11. | მითითებანი სოფლის ახალგაზრდობის 7-წლიანსა და საშუალო სკოლებში გამოსაშვები და სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელი გამოცდების შესახებ | 42 |

12. ბრძანება № 160—თელავისა და გურჯაანის რაიონების სოფლის ახალგაზრდობის საშუალო სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შესახებ . . . . . 49

13. ბრძანება № 163—სკოლებში საგაზაფხულო არდადაგების ჩატარების შესახებ. . . . . 55

14. დებულება სკოლის მომღერალთა გუნდის ხელმძღვანელის შესახებ. . 57

15. ბრძანება № 183—სამგორის რაონის ნორიოს საბავშვო სახლის თაოსნობის შესახებ . . . . . 60

16. ბრძანება № 205—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების შესწავლის შესახებ . 62

17. დამატება . . . . . 65

ეროვნული ბიბლიოთეკა

1-
14050
ეროვნული
ბიბლიოთეკა

უფასო

რედაქტორი მ. ბურჭულაძე
კორექტორი ე. აგლაძე.

გადაეცა წარმოებას 14/III—59 წ., ანაწყობის ზომა 6×10, ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 4,25
სტამბის შეკვ. № 406 ტირაჟი 5000

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა.
თბილისი, უშ. ჩხეიძის ქ. № 19.

Типография Министерства просвещения Груз. ССР.
Тбилиси, ул. Уш. Чхеидзе, № 19.